ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## დემურ გიორხელიძე: „მარიხუანით ეკონომიკის აღორძინება სისულელეა“

გვ.5




ოთხშაბათი, 19 სექტემბერი, 2018 | №222 (7767) | ფასი: 60 თეთრი

# პაატა ბურჭულაძე კობა დავითაშვილს უჩივის და მისგან 25.000 ლარს ითხოვს



გვ.7



## „ილია II ისე რომ საუბრობდეს, როგორც მეუფე პეტრე, ის ხომ პატრიარქი არ იქნებოდა!“

გვ.3



ზაქარია ქუცნაშვილს მარიხუანის კულტივაციის პროექტზე 4 კითხვა გაუჩნდა

## მეუფე გრიგოლი: „2012 წელს სასულიერო პირები არჩევნებში ჩაერივნენ“

გვ.3





## ბერა ივანიშვილი დაქორწინდა

ბერა ივანიშვილი დაქორწინდა. მისი რჩეული მოდელი ანანო გუდავაძეა.

ბერა რჩეულთან ერთად ფოტოს სოციალურ ქსელში აქვეყნებს მინაწერით: „და რაც აქამდე იყო ჩემი და შენი, დღეს გახდა ჩვენი“.

ბერა ივანიშვილი ფეისბუქგვერდზე მილოცვებს იღებს.



გვ.4

## მირიან მირიანაშვილი: „საქართველოს მკაფიო არჩევანის გაკეთება მოუწევს“

**სამართალი** გვ.7

## „ჩემივე სურვილია, დავრჩე პატიმრობაში“

სასამართლომ მირზა სუბელიანი და მერაბ მორჩაძე პატიმრობაში დატოვა



## ნიკა გვარამია: „ერთ ბიზნესმენს ქუმსიშვილთან ყოველთვიურად 70 ათასი დოლარი მიჰქონდა. მას მისტერ 10 პროცენტს ეძახდნენ“



## დააკავეს პირი, რომელმაც ბათუმის ცენტრში კაცს 7 ტყვია ესროლა




**ეკონომიკა** გვ.6




## ბიზნესმა საკონსტიტუციო სასამართლოში ხორბლის სახმელეთო გადაზიდვის აკრძალვა გაასაჩივრა

## მუნიციპალური პარკინგის ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენების შემთხვევებზე ჯარიმა გაიზრდება



## ალკოჰოლის მსხვრევადი ჭურჭლით რეალიზაცია, შესაქლოა, შეიზღუდოს



ISSN 1987-9385

**6** მანქანაში თამბაქოს მოწევა, თუ მასში ბავშვიზის, შესაძლოა, აიკრძალოს

**2** რუსებმა აფხაზებს პრემიერი პროქართული განწყობების გამო მოუკლეს?

**4** „ახალი პრეზიდენტი პოლიტიკური ფიგურა ვერ იქნება“

**2** კახეთში მევენახეების შემოსავალმა 145 მლნ ლარს მიაღწია

# რუსებმა აფხაზებს პრემიერი პროქართული განწყობების გამო მოუკლეს?

## „გენადი გაგულია ცდილობდა, ქართველებთან საერთო ენა გამოენახა“

შორენა მარსაგიშვილი

**მიმდინარე წლის 8 სექტემბერს ოკუპირებული აფხაზეთის პრემიერი გენადი გაგულია უცნაურ ვითარებაში დაიღუპა. იმ ავტოსატრანსპორტო შემთხვევამ, რომელსაც გაგულია ემსხვერპლა, ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. ერთ-ერთი ვერსიით, ის თბილისთან დაახლოებას ცდილობდა და კრემლმა სწორედ ამიტომ მოიშორა.**



ალსანიშნავია, რომ 70 წლის გენადი გაგულიამ წელს მესამედ დაიკავა აფხაზეთის პრემიერის პოსტი. სხვა აფხაზი ლიდერებისგან განსხვავებით, ის ქართველების მიმართ აგრესიულად განწყობილი არ იყო.

მედიაში უკვე ჩნდება ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ გაგულია ავტოავარიის შედეგად არ დაღუპულა და საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე მას სიკვდილში ვიღაც „დაეხმარა“.

სანამ ამ ეჭვებზე მოგახსენებდეთ, საინტერესოა თავად ავტოსაგზაო შემთხვევაც.

ის მაშინ მოხდა, როცა დამასკოდან დაბრუნებული აფხაზთა დელეგაცია სოჭიდან სოხუმში მიემართებოდა. გუდაუთის რაიონის სოფელ მიუსერასთან ვაზ-21099 მარკის ავტომობილი სამთავრობო კორტეჟიდან მაინცდამაინც პრემიერის მანქანას დაეჯახა. ავარია პოლიციის საგუშაგოსთან მოხდა. ვაზ-21099-ის მძღოლი ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდა და თან არანაირი საბუთი არ გააჩნდა.

ავარიის დროს, გაგულიას გარდა, მანქანაში მისი მძღოლი და პირადი მცველი იმყოფებოდნენ. არც ერთი მათგანი სერიოზულად არ დაზარალებულა. მართალია, ისინი საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ იქიდან ძალიან მალე გამოუშვეს.

გამოცემა „კავკაზპლუსი“ ვარაუდობს, რომ პრემიერის გადარჩენა შესაძლებელი იყო, მაგრამ მას საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე ვიღაც დაეხმარა, რომ მომკვდარიყო.

– საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე გენადი ლეონიდეს ძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მის გარდა არავინ დაზარალებულა, – განაცხადა მთავრობის პრესსამსახურის უფროსმა დიანა ზანთარიამ მედიასთან საუბარში.

გენადი გაგულია საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. რა გახდა მისი სიკვდილის მიზეზი, ამის შესახებ აფხაზეთის ხელისუფლება დეტალურად არ საუბრობს, რაც სერიოზულ ეჭვებს აჩენს.

ეჭვის საბაბი აფხაზებს ნამდვილად აქვთ. გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა პრეზიდენტის პოსტზე მყოფი სერგეი ბაღაფში. ის ოპერაციის გასაკეთებლად ისრაელში აპირებდა წასვლას, მაგრამ რუსებმა დაარწმუნეს, რომ ოპერაციის გაკეთება მოსკოვში ჯობდა. ისიც დათანხმდა და ოპერაციის შემდეგ გონზე ველარ მოვიდა.

ოპერაციამდე ბაღაფში თურქეთში იმყოფებოდა. მაშინ მოსკოვი და ანკარა ასე ღრმად არ იყვნენ ერთმანეთთან ჩახუტებული. აფხაზებს თურქეთში დიდი და გავლენიანი დიასპორა ჰყავთ, როგორც ამბობენ, ბაღაფში იქ მოკავშირეს ეძებდა.

მას ქართველებთანაც ჰქონდა კავშირები და თბილისთან ცდილობდა სიტუაციის დალაგებას, რაც კრემლისთვის მიუღებელი იყო და, როგორც აფხაზები ამბობენ, მან ამიტომაც ვერ „გადაიტანა“ ოპერაცია.

არც ის უნდა დავივიწყოთ, თუ რა ვითარებაში მოხდა მისი პრეზიდენტად არჩევა. კრემლი ღიად უჭერდა მხარს რაულ ხაჯიმბას, მაგრამ აფხაზებმა მას უარი უთხრეს და, დიდი ზეწოლის მიუხედავად, მაინც ბაღაფში აირჩიეს.

ბაღაფშმა პრემიერის პოსტზე ალექსანდრე ანქვაბი დანიშნა, რომელიც პროქართულად ითვლება. აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებებისას მას შს მინისტრის პოსტი ეკავა. მართალია, ის საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ ადამიანის სახე არასდროს დაუკარგავს და უამრავი ქართველი გადაარჩინა.

ბაღაფშის გაპრეზიდენტების შემდეგ ანქვაბს შვიდჯერ მოუწყვეს ტერორისტული აქტი, მაგრამ შვიდჯერვე გადარჩა. რუსული პრესა მაშინ აქტიურად წერდა, რომ ამ ტერაქტების უკან ხაჯიმბა იდგა. ხაჯიმბა კი პირდაპირ კრემლს წარმოადგენს.

ბაღაფშის გარდაცვალების შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნები ანქვაბმა მოიგო. კრემლის ფავორიტი ხაჯიმბა ისევ დამარცხდა. რუსეთი მიხვდა, რომ შვიდ ტერაქტს გადარჩენილ ანქვაბს ამ გზით ვერ მოიშორებდა და ალიკ აუფეთქებელს (ასე ეძახიან ანქვაბს აფხაზები) გადატრიალება მოუწყო.

ხაჯიმბას ხალხის მიერ გარშემორტყმული პრეზიდენტის რეზიდენციიდან ის რუსმა სამხედროებმა გამოიყვანეს. რამდენიმე დღე ანქვაბი გუდაუთაში მდებარე რუსულ სამხედრო ბაზაზე ჰყავდათ, საიდანაც მოსკოვში გადააფრინეს.

რაღაც დროის შემდეგ ანქვაბი სოხუმში დაბრუნდა და დეპუტატად იყარა კენჭი. არჩევნები მოიგო და ახლა აქაური სახალხო კრების წევრია, ხაჯიმბა კი მესამე ცდაზე გაიყვანა კრემლმა პრეზიდენტად.

რუსების დავალებით ახლა ხაჯიმბა ცდილობს, აფხაზებს უცხოელებზე მიწების მიყიდვის კანონი მიაღებინოს. აფხაზები ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

ერთი თვის წინ ანალიტიკოსმა ზაალ კასრელიშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბარში თქვა, რომ კრემლი ყველაფერს გააკეთებს, რათა აფხაზეთის მთავრობას რუსეთი სრულად აკონტროლებდეს.

გამოცემა „კავკაზპლუსი“ თვლის, რომ გაგულია კრემლის კონტროლიდან გამოსული იყო და ამიტომაც დაიღუპა. გამოცემის აზრით, გაგულიას მკვლელობით ის აფხაზი ჩინოსნები გააფრთხილეს, ვისაც არ უნდა, რომ ბოლომდე რუსეთის ყურმოჭრილი მონა იყოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაგულია სამჯერ დაინიშნა ოკუპირებული აფხაზეთის პრემიერად. ამ თანამდებობაზე ორჯერ არძინბამ დანიშნა, მესამედ კი ეს პოსტი მიმდინარე წლის 24 აპრილს ხაჯიმბამ ჩააბარა.

საინტერესოა, რომ მისი მეორე ვადით პრემიერობისას დაიწყო საუბარი აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზე. ამ რკინიგზის გახსნას დღემდე დაულალავად ითხოვს სომხეთი.

ეს საკითხი პირველად დღის წესრიგში 2003 წლის 7 მარტს, ედუარდ შევარდნაძისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრის დროს დადგა. ამ შეხვედრას გენადი გაგულიაც ესწრებოდა.

რაღაც დროის განმავლობაში აფხაზეთის რკინიგზის გახსნის საკითხი დაკონსერვებული იყო. სომხურმა მხარემ ეს საკითხი გასულ წელს გაააქტიურა. ამ თემაზე ერევანმა თბილისთანაც დაიწყო მოლაპარაკებები.

გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ რკინიგზის თემის გააქტიურების გამო დაინიშნა გენადი გაგულია მესამედ პრემიერად. „კავკაზპლუსის“ მტკიცებით, ამ საკადრო ცვლილების შემდეგ სომხურმა ლობიმ ძალიან გააააქტიურა რკინიგზის გახსნის თემა.

– რუსეთის მიერ კონტროლირებადი, მაგრამ უკიდურესად ჩლუნგი ხაჯიმბას ნაცვლად, სომხურ ლობის სურდა, ისეთ ადამიანთან ჰქონოდა ურთიერთობა, რომელიც უკვე იცნობდა რკინიგზის საკითხებს. სომხური ლობისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ თემაზე აფხაზებიდან ემუშავა იმ პირს, რომელსაც ქართველების სისხლში ხელი გასვრილი არ ჰქონდა და ქართველების გაღიზიანებას არ გამოიწვევდა. ამიტომაც მოიყვანეს პრემიერად პენსიაზე გასული 70 წლის გაგულია, – წერს გამოცემა.

მართალია, ოკუპირებული აფხაზეთის პრემიერად სომხურმა ლობიმ სასურველი კანდიდატი დაანიშვნინა სოხუმს, მაგრამ სომხეთში აირია ვითარება. ზურგჩანთამოკიდებულმა პაშინიანმა სომხური მაიდანი მოაწყო და თავად დაიკავა პრემიერის თანამდებობა.

ნიკოლ პაშინიანი რატომღაც ანტირუს პოლიტიკოსად ითვლება. მისი გაპრემიერების შემდეგ რუსეთმა აფხაზეთის რკინიგზის გახსნის საკითხი დროებით გააჩერა. საქართველოს ხელისუფლებამაც უარი თქვა ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ წასვლაზე და სომხურმა ლობიმ სასურველ შედეგს ამ ეტაპზე ვერ მიაღწია.

– ის ამოცანა, რისთვისაც პრემიერად მოიყვანეს, გაგულიამ ვერ შეასრულა. ეს წარუმატებლობა მისგან დამოუკიდებელ მიზეზებს უკავშირდება. თავისუფლად შეეძლოთ, ის მშვიდად გაეშვათ პენსიაზე, მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ გაგულია მიხვდა, თუ რა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მისი ხალხი, – მიიჩნევს „კავკაზპლუსი“.

გამოცემის ანალიტიკოსების მტკიცებით, გაგულია შეეცადა, თავისი ხალხი ამ ჩიხიდან გამოეყვანა.

– გაგულია აცნობიერებდა, რომ ჩიხიდან გამოსვლის ერთადერთი გზა საქართველოსთან საერთო ენის გამონახვა იყო, რასაც მას არც კრემლი აპატიებდა და არც – სომეხი ნაციონალისტები, – აღნიშნავს გამოცემა.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აფხაზეთის პრემიერის პოსტზე ყოფნისას მას არც ერთი ანტიქართული განცხადება არ გაუკეთებია. მას შემდეგ, რაც გაგულიამ მთავრობის მეთაურის პოსტი დაიკავა, აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების შევიწროების ფაქტებმა აშკარად იკლო.

აგვისტოში აფხაზებმა რუსების მიერ აღიარების 10 წლისთავი იზეიმეს. სოხუმის გარდა, საზეიმო ღონისძიება მოსკოვშიც გაიმართა. საზეიმო მიღებას გაგულიაც დაესწრო.

მედიის ინფორმაციით, ის რუსეთის ვიცეპრემიერებს ვიტალი მუტკოსა და ალექსეი გორდეევს შეხვდა. გაგულიამ რუსულ მხარეს მოსთხოვა,



### რას ნანობს სერგეი შამბა

რომ 2019 წლისთვის დაგეგმილი პროექტებისთვის დროზე გამოეყოთ თანხა, რასაც რუსული მხარე გაუღიზიანებია.

„კავკაზპლუსი“ დარწმუნებულია, რომ გაგულია პროქართულმა განწყობებმა შეიწირა. ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ მხცოვანმა პრემიერმა დამასკოში დაუშვა საბედისწერო შეცდომა.

– ამ ადამიანს ბევრი ინფორმაცია ჰქონდა და ნებისმიერ დროს შეეძლო ეთქვა, რომ მისი ხალხი იღუპება. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ის აფხაზურ დელეგაციასთან ერთად სირიაში გაემგზავრა. სირიის მთავრობაში ყველა რუსეთის მარიონეტი არ არის. არაა გამორიცხული, გაგულია მათ დაელაპარაკა, არაბულ ქვეყნებთან დაკავშირება ითხოვა. არაბული ქვეყნები აფხაზებს ქართულ მხარესთან დიალოგის დაწყებაში უნდა დახმარებოდნენ. ამას გაგულიას კრემლი არ აპატიებდა, – მიაჩნიათ ანალიტიკოსებს.

დამასკოდან ჩამოსული გაგულია ავარიაში დაიღუპა. შესაძლოა, კავკასიელი ანალიტიკოსები შეფასებებში აჭარბებენ, მაგრამ ბევრი რამე ერთმანეთს საეჭვოდ ემთხვევა.

....

ამასობაში აფხაზეთში სიტუაცია მძიმდება. აფხაზური სეპარატიზმის მამებიც კი აღიარებენ, რომ ისინი საქართველოს შემადგენლობიდან იმიტომ არ გამოსულან, რომ ასეთი აფხაზეთი მიეღოთ.

ამ თემაზე ძალიან ხშირად საუბრობს აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი სერგეი შამბა.

მისი „გალობანი სინანულისანი“ ამჯერად აფხაზეთში შექმნილ რთულ კრიმინოგენურ ვითარებას ეძღვნება. შამბა ნანობს, რომ თავის დროზე მათ ქართველების აწიოკებას არ შეუშალეს ხელი.

– ომის შემდეგ ვლადისლავ არძინბასთან და ზურაბ აჩბასთან ხშირად მისაუბრია ამ თემაზე. ზურიკი აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ ქართველები იძარცვებოდნენ. ის ამბობდა, დღეს ქართველებს ძარცვავენ, ხვალ რუსებსა და აფხაზებს მიადგებიან, მერე უკვე აფხაზებამდე მივლენ.

ასეც მოხდა, ჯერ ძალიან მდიდარი ადამიანების გატაცება დაიწყეს ფულის გამოძალვის მიზნით, მერე არც ისე მდიდრებს იტაცებდნენ. ახლა 200.000 რუბლის გამო ჩადიან ყაჩაღობას, მერე 20.000 და 10.000-ზეც დავლენ, – ამბობს შამბა.

მისი თქმით, აფხაზეთში მკვეთრად მოიმატა სუიციდის ფაქტებმა. აფხაზური სეპარატიზმის მამა ამბობს, რომ აფხაზი ახალგაზრდები თავს იმიტომ იკლავენ, რომ გამოსავალს ვერ პოულობენ.

შამბას თქმით, აფხაზეთში ძალიან მძიმე ვითარებაა და რესპუბლიკა უფსკრულის პირას დგას.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა გამორჩეული სეპარატისტი აფხაზეთის აწმყოს დასტირის. ის ანტირუსული განცხადებების გაკეთებას ჯერ ერიდება, მაგრამ ბევრიც აღარ უკლია.

## კახეთში მევენახეების შემოსავალმა 145 მლნ ლარს მიაღწია



18 სექტემბრის მონაცემებით, კახეთში 92 ათასამდე ტონა ყურძენი გადამუშავდა, მევენახეების შემოსავალმა 145 მლნ ლარს მიაღწია. რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროს ანდრო ასლანიშვილის ინფორმაციით, კახეთში რთველი კვლავ აქტიურ პროცესშია და ყურძნის მოსავლის დაბინავება კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს.

– დღეღამურად, საშუალოდ 5-6 ათასამდე ტონა ყურძენი მუშავდება საწარმოების მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ კახეთში რთველი კვლავ აქტიურ ფაზაშია. რთველის დაწყებიდან დღემდე, ყურძენი ღვინის საწარმოებს უკვე 10200-მა მევენახემ ჩააბარა, რომელთა შემოსავალმა 145 მლნ ლარს მიაღწია. ამ პერიოდში, ყოველდღიურად ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია 65-მდე ღვინის საწარმო კახეთის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში, რაც ნიშნავს, რომ რთველი კახეთში შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს, – ანდრო ასლანიშვილმა.

რთველი 2018-ის საკოორდინაციო შტაბში ამ დროისთვის 225 კომპანიაა რეგისტრირებული. ყურძენი უკვე გადაამუშავა 175-მა ღვინის კომპანიამ. ყველაზე დიდი რაოდენობით ყურძენი გადამუშავდა ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში – 27-27 ათასი ტონა, შემდეგ მოდის თელავი – 18,5 ათასი ტონა, სიღნაღი – 8,4 ათასი ტონა, დედოფლისწყარო – 3,8 ათასი ტონა, ახმეტა – 3 ათასი, ლაგოდეხი – 1,5 ათას ტონამდე და საგარეჯო – 955 ტონა.

მთლიანად გადამუშავებული ყურძნიდან 52 ათასი ტონა საფერავი, 29 ათასი ტონა რქაწითელი, 1,5 ათასი ტონა კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ილია II ისე რომ საუბრობდეს, როგორც მეუფე პეტრე, ის ხომ პატრიარქი არ იქნებოდა!"

## ზაქარია ქუცნაშვილს მარიხუანის კულტივაციის პროექტზე 4 კითხვა გაუჩნდა

იაგო ნაცვლიშვილი

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ მარიხუანის კულტივაციის კანონპროექტთან დაკავშირებით კითხვები მასაც აქვს. დეპუტატი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ამბობს, რომ მას აქვს 4 ფუნდამენტური კითხვა კანონპროექტის ინიციატორებთან და მან ეს შეკითხვები დასვა, ახლა კი პასუხებს ელოდება.**

***– რა რეაქცია გქონდათ, როდესაც მარიხუანის კულტივაციის თემაზე შსს-ს კანონპროექტის შესახებ გაიგეთ? თქვენ ხართ ტრადიციული ღირებულებების მქონე პიროვნება, ამიტომ კიდევ უფრო საინტერესოა თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხების მიმართ. რამდენად მისაღები იყო ეს პროექტი?***

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ მე მაქვს ცალკეული დამოკიდებულება ცალკეული ფასეულობების მიმართ. კერძოდ, ოჯახური და რელიგიური ფასეულობის მიმართ ვარ საკმაოდ კონსერვატიული და ტრადიციული. რაც შეეხება მმართველობისა და დემოკრატიის პრინციპებს, საკმაოდ ლიბერალური ვარ, ანუ მე არ ვარ სწორხაზოვანი ადამიანი, რომელიც ყველა საკითხს სწორხაზოვნად უყურებს. რაღაც საკითხებს კონსერვატიულად ვუყურებ, რაღაც საკითხებს – ლიბერალურად.

***– ეს საკითხი რომელში გადის?***

– ეს ის საკითხია, რომელიც ორივე თემას კვეთს – რელიგიურსაც და დემოკრატიულსაც. სახელმწიფოს მართვის ნაწილია, რა გააკეთოს, მაგრამ, როგორ გააკეთოს, ეს კავშირშია ტრადიციებთან და კონსერვატიულ ფასეულობებთან. არის რაღაცები, რაც მორალურად მიიჩნევა და არის საკითხები, რაც მორალურად არ მიიჩნევა. ეს საკითხი ორივეს საზღვარშია. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ის არის, რომ ეკლესიამ მყისიერი რეაგირება მოახდინა ამ მოსაზრებაზე.

***– როდესაც წაიკითხეთ კანონპროექტი, რა რეაქცია გამოხატეთ გუნდში? მიუღებელი იყო თუ არა კანონპროექტის ამ ფორმით მიღება და გამოხატეთ თუ არა ამაზე პოზიცია?***

– მე ვიყავი იმ რამდენიმე დეპუტატს შორის, ვინც შეკითხვები დასვა, ჩემი აზრით, საკმაოდ რაციონალური შინაარსის. ამ საკითხს აქვს 4 ასპექტი და ჩემი საბოლოო გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება ამ 4 ასპექტზე პასუხების მიღებით. ეს არ არის მარტივი საკითხი და ჩვენ უნდა გავცეთ საზოგადოებას კითხვებზე პასუხი.

ეს ინიციატივა გაზრდის თუ არა ნარკოტიკების გავრცელების რისკებს თუ იმავე მდგომარეობაში დატოვებს?

შეიძლება თუ არა კანაფის მცენარის გამოყენება ჯანმრთელობისა და კოსმეტიკის მიზნით. ამაზე მოსაზრება სპეციალისტებმა უნდა გვითხრან.

რამდენად მორალურია ეს? მიუხედავად იმისა, რომ საუბარია ერთ-ერთ ინგრედიენტზე, ეს იმ მცენარისგან უნდა იწარმოოს, რომელიც საზოგადოებაში მარიხუანასთან ასოცირდება.

მეოთხე შეკითხვა, რა ეკონომიკური ბენეფიტის მომტანი იქნება ეს ქვეყნისთვის, რომ ღირდეს ამ ნაბიჯზე წასვლა.

ეს 4 შეკითხვა დაისვა და ველოდები მათზე პასუხებს. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მოიხსნა საკითხის განხილვა დღის წესრიგიდან, ალბათ პასუხებიც გადაიდება.

***– ეს კითხვები შსს-ს დაუსვით?***

– დიახ, ინიციატორმა როცა გაგვაცნო, კითხვები იქვე დავუსვი. ასევე წამოვწიე საკითხი იმის თაობაზე, რომ თუ ეს ინიციატივა მოფიქრებული და გააზრებულია და ამ 4 შეკითხვაზე შესაძლებელია სრულყოფილი და დამაჯერებელი პასუხის გაცემა და ეს საქმე ასე მომგებიანია, მაშინ სახელმწიფომ უნდა აწარმოოს ეს საქმე და არა – კერძო ლიცენზიანტმა. სახელმწიფომ ნახოს ამით ხეირი და არა – კერძო პირმა.

***– ამ კითხვებზე მათ დრო ითხოვეს თუ თქვენ მიეცით დრო პასუხის გასაცემად? ანუ იქვე რატომ არ გაგცეს შეკითხვებზე პასუხები?***

– დრო ითხოვეს. ეს მოსაზრება დაიბადა მთავრობაში და ეს საკანონმდებლო ინიციატივის სახით უნდა შემოეტანა პარლამენტში. ბუნებრივია, საკანონმდებლო ინიციატივის განხილვისას ჩვენ გავიმეორებთ ამ შეკითხვებს. მე წინასწარ გავაცანი კითხვები ამ მოსაზრების გარშემო და, ჩემი აზრით, ეს შეკითხვები საკმაოდ რაციონალური და სწორია.

***– ამ თემასთან დაკავშირებით ეკლესიასა და საზოგადოებას ჰქონდა საკმაოდ მწვავე რეაქცია. ამაზე არ გაგიჩნდათ კითხვა კანონპროექტის ინიციატორებთან? ხომ არ სჯობდა, რომ საზოგადოებასთან და საპატრიარქოსთან ყოფილიყო კომუნიკაცია და შემდეგ ყოფილიყო ინიციატივა გაჟღერებული?***

– კი სჯობდა, რომ მოსაზრების დონეზე გაეცნოთ ყველა ჯგუფისათვის. მე ვიცნობ მართლმადიდებელ ეკლესიას, ვიცი მისი კონსერვატიული ღირებულებები და ვიცი, რომ იქ ბევრად მეტი ახსნა-განმარტებითი სამუშაო იყო საწარმოებელი. მე ეკლესიის რეაქცია არ გამიკვირდა, ეს ბუნებრივი რეაქცია იყო.

***– ამან გამოიწვია ის, რომ განხილვა დროებით გადაიდო?***

– ჩემი აზრით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეგეც არის. მაგრამ, ჩვენი საზოგადოება მხოლოდ სასულიერო პირებისგან ხომ არ შედგება?! საზოგადოების რეაქცია არ იყო ამაზე დადებითი და ადეკვატურად მოიქცა მთავრობა, როცა ამ მოსაზრების განხილვა შეაჩერა.

***– „ქართული ოცნებისთვის" საკითხის ამგვარად დასმა და შემდგომ მისი განვითარება პოლიტიკურად წამგებიანი არ იყო? ვინც აკრიტიკებს კანონპროექტს, იტყვის, ხელისუფლება არც კი შეგვითანხმდა, ისე შემოიტანაო, ულტრალიბერალები კი იტყვიან, რომ ეკლესიის პოზიციის შემდეგ ხელისუფლებას შეეშინდა. ეს თემა რამდენად მომგებიანი ან წამგებიანი იყო პარტიული რეიტინგის თვალსაზრისით?***

– ზოგადად მთავრობა ვალდებულია, ეძებოს დამატებითი შემოსავლის წყაროები, მაგრამ, თუ ზემოთ დასმულ შეკითხვებზე არ იქნებოდა პასუხები, გამართლება ამ გზით კეთილდღეობის მოტანისა მთავრობას გაუჭირდებოდა. აქედან გამომდინარე დავსვი ის შეკითხვები, რაც ჩამოგითვალეთ. თუ ჩემს კითხვებზე იქნება დადებითი პასუხები, რომ რისკები არ იზრდება, მოაქვს ასეულობით მილიონი შემოსავალი და შეიძლება მისი გამოყენება სამედიცინო მიზნით, მაშინ რჩებოდა მეოთხე შეკითხვა მორალურ თემაზე, რაზეც მოქალაქეები დაფიქრდებოდნენ.

***– ოპონენტების კრიტიკაზე რას იტყოდით? მათ თქვეს, რომ საქართველოს გადაქცევა უნდათ ავღანეთად და კოლუმბიად. ამაზე რა პასუხი გაქვთ?***

– კოლუმბიას რომ ადარებენ, იქ კანონით არ რეგულირდება. უკანონოდ რეგულირდება ყველაფერი. ჩვენთან კანონიერ საქმიანობაზე იყო მოსაზრება.



***– და როგორ მოხერხდება მისი გაკონტროლება? დღეს უკვე ბევრს აქვს დათესილი მარიხუანა, სოფლად განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც კანონით იკრძალება ეს. ამ შემთხვევაშიც რთული იქნება რეგულირების კონტროლი.***

– ამიტომაც მთავრობამ უნდა დაასაბუთოს, რომ კრიმინალური რისკები არ იზრდება. ვგულისხმობ იმას, რომ გამოტანა და გაყიდვა არ მოხდება და უკანონო კულტივაციის რისკები არ იზრდება.

***– ოპონენტების კიდევ ერთი კრიტიკა იყო ის, რომ ბიძინა ივანიშვილს სურს მარიხუანის პლანტაციების გაშენება. ამაზე რას იტყოდით?***

– არა მგონია, ეს სერიოზული ბრალდება იყოს. ბიძინა ივანიშვილი პატრიოტი კაცია, მას ქვეყანა უყვარს. არ მინდა, დავუშვა ის, რომ მისი რომელიმე მოსაზრება ანტიეროვნული ან ანტისახელმწიფოებრივი იქნება.

***– თქვენ შესაძლოა ასე ფიქრობთ, მაგრამ საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი აღარ ფიქრობს ასე.***

– გეთანხმებით, ბატონი ბიძინას მიმართ კრიტიკული მოსაზრებები გაიზარდა. თუმცა, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის პატრიოტი ადამიანია.

***– პატრიარქის ქადაგებაც შეაფასეთ. ის განსხვავებული იყო იმ მეუფეების განცხადებებისგან, რომლებიც მანამდეც გვესმოდა და ისევ მოვისმინეთ მეუფე იაკობისა და მეუფე პეტრეს ქადაგებებში. იქამდე იყო ნათქვამი, სანთლების რევოლუციას მოვაწყობთო. პატრიარქის ქადაგება ცოტა ორაზროვანი იყო. ხელისუფლების კრიტიკაც იყო და მის როლზეც იყო საუბარი, მაგრამ ისიც იყო ნათქვამი, რომ ხელისუფლებაც ზრუნავს ხალხზე და ამ პრობლემაზე. თქვენ არ დაგრჩათ კითხვები?***

– მისი უწმინდესობის პოლიტიკა ეფუძნება ერის მთლიანობას, სიმშვიდის მოტანას და რადიკალური განწყობების მაქსიმალურ შემცირებას. თუ ვინმეს უკვირს მისი უწმინდესობის ეს დამოკიდებულება, რომ ის შემრიგებელია, დამთმობია და ცდილობს, რადიკალური მხარეები თანხმობისკენ წაიყვანოს, მაშინ მას არ ესმის მისი უწმინდესობის, როგორც სულიერი მამის, როლი.

თქვენ წარმოიდგინეთ, პატრიარქი ისე რომ საუბრობდეს, როგორც მეუფე პეტრე საუბრობს, მაშინ ის ხომ პატრიარქი არ იქნებოდა?! სულიერი მამის როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის გამაერთიანებელი და რადიკალური მხარეების პოზიციების შემარბილებელი უნდა იყოს.

***– ანუ სამოქალაქო დაპირისპირებას მოერიდა?***

– მისი პოზიცია მთელი ამ 40 წლიანი მმართველობის განმავლობაში სწორედ ასეთი იყო. რბილი ხელის პოლიტიკა, რომელიც ყველა მხარეს აძლევს შესაძლებლობას, რომ დაინახონ შეცდომა და გადადგან ნაბიჯი ერთმანეთისკენ და არა – ერთმანეთის საწინააღმდეგოდ. ღმერთმა დაიფაროს, რომ საქართველოს პატრიარქი წამქეზებელი და მაპროვოცირებელი იყოს. ილია II ასეთი ვერ იქნებოდა, ამიტომ მისი ეს პოზიცია ნურავის უკვირს. ეს სულიერი მამის ტრადიციული პოზიციაა.

***– ცნობილი გახდა ისიც, რომ ქადაგებამდე ირაკლი კობახიძეს ჰქონდა მასთან კომუნიკაცია. ინფორმაცია მიაწოდა პატრიარქს და ამანაც ხომ არ იქონია გავლენა მისი ქადაგების შინაარსზე?***

– ვერ გეტყვით. მე არ დავსწრებივარ შეხვედრას და არ ვიცი, რა ინფორმაცია მიაწოდეს. მე ვსაუბრობ მისი უწმინდესობის საეკლესიო და საზოგადოებრივ საქმიანობაზე, სადაც მას უკავია მხარეების დამაახლოებლის როლი და არა – დამაპირისპირებლის. ეს ნორმალური მგონია და შეესაბამება სულიერი მამის პოზიციას.

# მეუფე გრიგოლი: „2012 წელს სასულიერო პირები არჩევნებში ჩაერივნენ"

შორენა მარსაგიშვილი

**მოახლოებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა პოლიტიკოსებზე მეტად სასულიერო პირები გაააქტიურა. მაღალი იერარქიის სასულიერო პირების აქტიურობა მხოლოდ არჩევნებთან არ არის კავშირში.**

განსაკუთრებულად მღვდელმთავრები აქტიურობენ. ბოლო დღეებში მათგან ძალიან მკვეთრი განცხადებები მოვისმინეთ.

არჩევნებთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება აქვს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტს, მეუფე გრიგოლს. ის მიიჩნევს, რომ არჩევნებზე გადაწყვეტილება ხალხმა უნდა მიიღოს და ამაში სასულიერო პირების ჩარევა საჭირო არ არის.

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ დაუჩივლიათ, რომ 2012 წელს მათ ეკლესიამ ზურგი აქცია. ნაციონალები მეუფე იობსა და მეუფე იაკობს საყვედურობდნენ განსაკუთრებით.






ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი ადასტურებს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში სასულიერო პირები საარჩევნო პროცესებში ჩართული იყვნენ.

რუსთავი 2-თან ინტერვიუში მეუფე გრიგოლი ამბობს, რომ დღეს მოსახლეობამ უნდა იაქტიუროს და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.

მისი აზრით, არჩევნებში სასულიერო პირების ჩარევამ საქართველოს კარგი არაფერი მოუტანა. მღვდელმთავარი ამას იმით ხსნის, რომ სასულიერო პირები მონასტრული ცხოვრებით ცხოვრობდნენ და პოლიტიკა კარგად არ იცოდნენ.

– რა სიკეთე მოუტანა საქართველოს იმან, რომ ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში მონასტრიდან არ გამოსულან და მონასტრის ეზოდან გარეთ არ გაუხედავთ, რიგში ჩადგნენ საარჩევნო უბნებთან. ისინი ძალიან აქტიურად გამოხატავდნენ თავიანთ პოლიტიკურ არჩევანს. შეხედეთ, რა მოიტანა და რა შეიძლება მოიტანოს, – ამბობს მეუფე გრიგოლი.

მიტროპოლიტის აზრით, არჩევნებში მთავარი ხალხის გადაწყვეტილებაა. მას იმედი აქვს, რომ ეს გადაწყვეტილება ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება.

– ხალხმა უნდა გამოიჩინოს სიბრძნე და გონიერება და მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელიც მისი შვილების მომავლისთვის და მისი ქვეყნისთვის, პირადად მისთვისაც იქნება სასარგებლო, – განაცხადა მეუფე გრიგოლმა.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი საარჩევნო პროცესებში ჩარევას არ აპირებს, მაგრამ მრევლს წინასაარჩევნოდ კრიტიკული აზროვნებისა და სწორი გადაწყვეტილების მიღებისკენ მოუწოდებს.

– მოდის არჩევნები და საზოგადოება სერიოზული არჩევანის წინაშე დგას. ადამიანმა უნდა გააცნობიეროს, რომ განსაკუთრებული ადგილი აქვს ადამიანის იმ უნარს, რომელიც ღმერთმა უბოძა – აზროვნება.

ამიტომ უნდა იაზროვნოს, კრიტიკული ანალიზის უნარი უნდა გამოავლინოს, კრიტიკული აზროვნება გამოიყენოს და შეაფასოს. ის არჩევანს აკეთებს და ამ არჩევანში თავის პირად სარგებლობაზე ფიქრობს, რას მიიღებს ის ამ არჩევანით და აქვე ფიქრობს ცოტა გლობალურადაც, რას მიიღებს ქვეყანა.

ჩვენ ვერ გეტყვით, რომელ კანდიდატს მისცეთ ხმა, მაგრამ ვეცდებით, გასწავლოთ, გააღრმაოთ საკუთარი აზროვნება, რომ სწორი დასკვნები გააკეთოთ, – აღნიშნა მიტროპოლიტმა.

# მირიან მირიანაშვილი: „საქართველოს მკაფიო არჩევანის გაკეთება მოუწევს“

## რა კავშირი აქვს კანაფის პლანტაციების გაშენებას გეოპოლიტიკასთან

მარიამ მჭედლიშვილი



**ქვეყანაში გაუგებარი პროცესები მომრავლდა. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიანმირიანაშვილს**

***– კანაფის კულტივაცია-ექსპორტთან დაკავშირებული კანონპროექტის განხილვა ამ ეტაპზე შეჩერებულია. ბუნდოვანი დარჩა, რისთვის დასჭირდათ ამის მოთავეებს ასეთი ეპატაჟური მოქმედებები?***

– ამას თავისი მიზეზები აქვს და ისინი მიბმულია მსოფლიოში მიმდინარე ძვრებთან. ამ პროცესებში გამოიკვეთა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, სამღვდელოების როლი.

***– მართლაც, ყველაზე აქტიურად მარიხუანის პლანტაციებს ეკლესია დაუპირისპირდა. საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის განწყობაც ასეთია.***

– რას გამოიწვევდა მარიხუანის კულტივაციის მცდელობა, კანონპროექტის ავტორებმა, რომლებმაც ის მოსკოვიდან დაბრუნებულ შს მინისტრს გაახმოვანებინეს, კარგად იციან. კანაფის საკითხი საჭირო გახდა.

***– რისთვის გახდა საჭირო?***

– მსოფლიოში პროცესები დინამიკურად ვითარდება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხია.

***– უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია, ფაქტობრივად, აღიარა მსოფლიო საპატრიარქომ, კონსტანტინეპოლსა და მოსკოვს შორის ამან უკიდურესად დაძაბა ურთიერთობები..***

– ეს პრობლემა საქართველოს იმაზე მეტად ეხება, ვიდრე ზოგს ჰგონია. მართლმადიდებელმა ეკლესიებმა უნდა გამოხატონ დამოკიდებულება ამ თემის მიმართ. თავისი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს საპატრიარქომაც. ამას პოლიტიკური დანიშნულება აქვს. დასავლეთი, უფრო ზუსტად, აშშ, ცდილობს რუსეთის როლის დამცრობას, მის იზოლაციაში მოქცევას. მართლმადიდებელი ეკლესიები, არსებული ინფორმაციით, არ დადგებიან რუსეთის საპატრიარქოს გვერდით და არ გაიზიარებენ მის პოზიციას უკრაინის ეკლესიის თაობაზე. ისინი აღიარებენ უკრაინის ეკლესიას. საქართველოს საპატრიარქო სხვებისგან განსხვავებულად მოიქცევა და რუსეთთან ერთ პოზიციაზე დადგება, მანამდე კი ხდება ეკლესიის პოლიტიკაში ჩაბმა და იმის პოპულარიზაცია, რომ ეკლესია პოლიტიკურ პროცესებში უნდა ერეოდეს.

***– რატომ გგონიათ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უკრაინის საკითხში მოსკოვის მხარეს დაიჭერს? იქნებ ჩვენი საპატრიარქო სხვა ნაბიჯის გადადგმას აპირებს?***

– წინასწარი მონაცემებით, ასე იქნება. ამით დაზარალდება საქართველო. ეს არა იმდენად რელიგიური, რამდენადაც პოლიტიკური თემაა, თან მომავალში ამაზე პასუხს პირადად ბიძინა ივანიშვილსაც მოსთხოვენ.

***– ივანიშვილს რატომ მოსთხოვენ პასუხს?***

– ვაშინგტონში დარწმუნებული არიან, რომ ყველაფერს საქართველოში ბიძინა ივანიშვილი მართავს. ისინი რუსეთის ეკლესიას კრემლის დაქვემდებარებულ უწყებად აღიქვამენ. მათთვის არც საქართველოს ეკლესიაა დამოუკიდებელი. მოსკოვისთვის უკრაინის ეკლესიის საკითხი ძალიან მწვავე პოლიტიკური პრობლემაა. ამიტომ სთავაზობდა მსოფლიო პატრიარქთან ჩასული რუსეთის პატრიარქი მას 500 მილიონდოლარიან ქრთამს ფულისა და აქტივების სახით.

***– საქართველოში კანაფის მოყვანით რეალურად არიან დაინტერესებული გარკვეული წრეები.***

– ერთი კომპანია, რომელსაც რუსული ფესვები აქვს, ამის მთავარი ინიციატორია. ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ როცა ამას აპროტესტებდნენ, სამღვდელოება კი არ აჰყვა მრევლის ნებას, არამედ, ხალხი მიჰყვა მოძღვრებს. მას შემდეგ, რაც კანაფის თემამ პირველად გაიჟღერა, მღვდლები, რომლებიც შემჩნეული არიან პრორუსულ განწყობებში, მრევლს უქადაგებდნენ, რომ მარიხუანის გავრცელება საქართველოში უნდა „გარყვნილ დასავლეთს“. ასე რომ, ორგანიზატორებს რუსეთიდან კანაფის თემით რამდენიმე კურდღლის დაჭერა უნდათ – პლანტაციების მოშენება და ანტიდასავლური იდეების გავრცელება.

***– უკრაინის თემას დავუბრუნდეთ. რუსეთის სრული იზოლაცია ამ საკითხში რთულია. მაგალითად, სერბეთის საპატრიარქო უკრაინის ეკლესიის ცნობას არ აპირებს და რუსეთის მხარეზეა.***

– დიდი ალბათობით, ამ საკითხში სერბეთი რუსეთის თანამოაზრე არ იქნება. თუ საქართველომ დანარჩენი მართლმადიდებელი სამყაროს საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო, ეს ქვეყანაში ნეგატიურ პროცესებს გამოიწვევს. გაუგებარია, რატომ უნდა გაწიროს თავი ქართულმა ეკლესიამ რუსეთისთვის. დღემდე რუსეთის საპატრიარქო ჩვენს პატრიარქს სრული ტიტულით არ მოიხსენიებს და არ ახსენებს, რომ ის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტიც არის. რუსეთის სამღვდელოებამ ჩაშალა იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის საკითხი. როცა საქართველომ მისი გადმოცემის საკითხი წამოჭრა, ბერძნებმა რუსული ეკლესია ჩარიეს. რუსული ეკლესია, თავის მხრივ, ჯვრის მონასტრის ჩვენთვის გადმოცემას ეწინააღმდეგებოდა და ეს საქმე კულუარულად რუსეთმა ჩააგდო.

***– რა ნეგატიური პროცესები შეიძლება განვითარდეს საქართველოში?***

– შეიცვლება ფორმატი. აშშ დარწმუნდება, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესების ევოლუციურად განვითარების გზა მოისპო. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული სანქციები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ.

***– სანქციები?***

– თუ უკრაინის საკითხში რუსეთის ეკლესიამ პოზიცია არ შეიცვალა, მას ამერიკული სანქციები არ ასცდება. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთს აქტიურად გვერდით ამოუდგა ქართული ეკლესია, მასაც მოელის სანქციები. საქართველოს მომავალში, ალბათ, მკაფიო არჩევანის გაკეთება მოუწევს.

***– დასავლეთში საქართველოს პროდასავლური კურსი აქვთ?***

– დასავლეთი არ ენდობა აქაურ მმართველებს. ახლანდელ პრემიერს კი, რომელიც აშშ-ში წავიდა, დამოუკიდებელ და სერიოზულ პირად არ მიიჩნევენ.

---

ნათია ხურცილავა

# „ახალი პრეზიდენტი პოლიტიკური ფიგურა ვერ იქნება“

## რა წერია კონსტიტუციის ახალ რედაქციაში

**კონსტიტუციონალისტი, პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე სამართლებრივ საკითხებში, თენგიზ შარმანაშვილი, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს პრეზიდენტის უფლებამოსილებებზე კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით.**

***– ბატონო თენგიზ, კონსტიტუციის ახალი რედაქცია ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების შემდეგ ამოქმედდება. რა გამოკვეთა მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიამ, უნდა აირჩეს თუ არა საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი პირდაპირი გზით?***

– იმთავითვე ვამბობდი, რომ კლასიკური ტიპის საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები არაფრის მომცემი არ არის. პირიქით, პრობლემების მეტს არაფერს იძლევა. როდესაც პრეზიდენტს აღმასრულებელი უფლებამოსილებები თითქმის არ გააჩნია, წინასაარჩევნო კამპანიასაც სრულყოფილად ვერ ატარებს. ამომრჩეველი შეცდომაში უნდა შეიყვანოს, უნდა თუ არ უნდა და უნდა თქვას ის, რაც კონსტიტუციიდან არ გამომდინარეობს.

ასეთ ვითარებაში წინასაარჩევნო კამპანია ჯანსაღი არ არის. თქვენ გახსოვთ, თუ რა წინაპირობები უძღოდა პრეზიდენტის პირდაპირი გზით ერთჯერად დაშვებას. რა პოლიტიკური ფონი უძღოდა ამ ყველაფერს. პოლიტიკური კომპრომისის შედეგი იყო ერთჯერადი დაშვება. ვენეციის კომისიის რეკომენდაციაც იყო, რომ არ ღირდა პროცესების გართულება და ამიტომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება.

***– კანდიდატები ამომრჩევლებს ატყუებენ?***

– სიმართლე გითხრათ, ბევრ მათგანში დარწმუნებულიც კი არ ვარ, რომ თავად ესმით, რა უფლებამოსილებები გააჩნიათ. ბევრს კი ესმის, მაგრამ სწორად არ იქცევა. ისეთი დაპირებები მესმის, რომ დიდი პროფესიონალიზმი არ არის საჭირო, რომ მიხვდე – ამის გაკეთების უფლებამოსილება პრეზიდენტს არ შეუძლია საპარლამენტო რესპუბლიკაში.

***– რამდენად შეუძლია პრეზიდენტს ხელისუფლების შეცვლა?***

– ამ აქცენტს აკეთებს ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ვაშაძე, რომელიც საკითხს პოლიტიკურად მიუდგა. ის ამბობს, ეს იქნება პირველი სიგნალი, თუ მმართველი ძალა არჩევნებს წააგებს, რითაც ხალხში ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდება და მმართველი პარტია უკვე 2020 წელსაც წააგებს არჩევნებს, შეიძლება, ვადამდელი არჩევნებიც კი დაინიშნოს.

***– რამდენად შეუძლია ოპოზიციურ პრეზიდენტს ვადამდელი არჩევნების გამოცხადება და დანიშვნა?***

– თუ როდის ტარდება ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები, ეს კონსტიტუციაში ზედმიწევნით არის გაწერილი. ისე არ არის, რომ პრეზიდენტმა დილით გაიღვიძოს და ვადამდელი არჩევნები დანიშნოს. რა თქმა უნდა, ვერ დანიშნავს.

***– ვადამდელი არჩევნები რა შემთხვევაში ინიშნება?***

– იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა მთავრობის ფორმირება ვერ შეძლო.

***– ამ შემთხვევაში პრეზიდენტს ხომ შეუძლია პარლამენტის დათხოვნა?***

– დიახ, პარლამენტს კი ითხოვს პრეზიდენტი თავისი აქტით, მაგრამ ასე ვთქვათ: პარლამენტი თვითონ უკეთებს თავის თავს ამ საქმეს.

***– რას გულისხმობთ?***

– პარლამენტი თვითონ მიდის კრიზისამდე და შემდეგ დაითხოვს პრეზიდენტი პარლამენტს. ცოტა ძნელად წარმომიდგენია, ისეთი სამთავრობო კრიზისი შეიქმნას, რომ მმართველმა ძალამ ვერ შეძლოს მთავრობის ფორმირება. პრემიერ-მინისტრი გვყავს და არაფერი შემიტყვია იმის თაობაზე, რომ ვინმე რამეს აპირებდეს.

არჩევნებამდე ცოტა დროა დარჩენილი – ორი წელი და არ მგონია, რამე დიდი ცვლილებები მოხდეს. მიუხედავად ამისა, ეს სიტუაცია რომც შეიქმნას, მმართველ ძალას აქვს ხმების ის რაოდენობა და რესურსი, რომ თავისუფლად მოახდინოს მთავრობის ფორმირება.

***– ოპოზიციურმა კანდიდატმა არჩევნებში რომ გაიმარჯვოს, სახელისუფლებო ძალთა ბალანსს საფრთხე არ ემუქრება?***

– სწორედ ამას გეუბნებით. მე ვცდილობ, პოლიტიკური განცხადებები არ გავაკეთო, როგორც საჯარო მოხელემ, მაგრამ შეიცვლება იმ გაგებით, როგორც თავად ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლებას წელში გადატეხს, ხალხის განწყობაზე იმოქმედებს. ამას ამბობს ოპოზიცია, მაგრამ, რამდენად შეძლებს, ვერ გეტყვით.

***– პირდაპირი გზით არჩეულ პრეზიდენტს ხომ სულ სხვა ძალაც გააჩნია, როგორც პოლიტოლოგები ამბობენ?***

– ჩვენ, საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის ფარგლებში, ბერლინის კონფერენცია ჩავატარეთ. გერმანელი კონსტიტუციონალისტების საუკეთესო ნაწილი იყო წარმოდგენილი, მაშინ ოპოზიცია სწორედ ამ არგუმენტით ჩამოვიდა გერმანიაში, რომ ავსტრიაში კი არის საპარლამენტო რესპუბლიკა, მაგრამ პრეზიდენტს ხომ პირდაპირი გზით ირჩევენ.

ოპოზიციის ეს არგუმენტი ღიმილისმომგვრელი იყო. ერთ-ერთმა პროფესორმა პირდაპირ გვითხრა, ავსტრიელებივით არ დაუშვათ ეს შეცდომაო, მათ დაუშვეს და ახლა უამრავი პრობლემა უდგათო. გახსოვთ, რომ ლამის ფაშისტი აირჩიეს პრეზიდენტად.

ვინაიდან აღმასრულებელი უფლებამოსილებები პრეზიდენტს არ გააჩნია, ასეთ ქვეყანაში ცდილობენ ხოლმე, კლასიკური გზით წავიდნენ და კანდიდატად დააყენონ პოლიტიკისგან შორს მდგომი ადამიანი. პარტიული ინტერესები აქ გამორიცხულია. პარტიული ლიდერი სჭირდებათ პრემიერ-მინისტრის პოსტზე, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე.

ავსტრიაში ულტრამემარჯვენეებმა თავიანთი პარტიის ლიდერი დააყენეს, რომელიც პოპულარული იყო. ბოლო მომენტში მიხვდა ავსტრიელი ხალხი, რომ შეიძლებოდა, შეცდომა დაეშვათ მისი არჩევით. ავსტრიის ამ მაგალითმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ პარტიები, რომლებიც ხალხის შეცდომაში შეყვანას არ აპირებენ, თავიანთ პარტიულ ლიდერებს არ აყენებენ. მარგინალური აზროვნების პარტიები კი პირიქით იქცევიან.

***– „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას ამართლებთ, რომ თავიანთი პარტიის რიგებიდან კანდიდატი არ დააყენეს?***

– არავის გადაწყვეტილებას არ ვამართლებ, მაგრამ ამაში მე ცუდს ვერაფერს ვხედავ იმ გაგებით, რომ კანდიდატი პარტიის წევრი არ უნდა იყოს. კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, როგორც კი პრეზიდენტს აირჩევენ, ყველანაირი პარტია უნდა დატოვოს.

პრეზიდენტს როდესაც გერმანიის ბუნდესტაგი ირჩევს, დებატებიც კი აკრძალულია. ეს




ჩვენ გადმოვიღეთ და კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ეს ჩანაწერი გავაკეთეთ. ხომ საინტერესოა, რატომ ირჩევენ დებატების გარეშე? რათა პოლიტიკურ პოლემიკაში არ შევიდეს კანდიდატი პოლიტიკოსებთან. ამით ხაზია გასმული, რომ სასურველია, პრეზიდენტი პოლიტიკისგან ცოტა შორს იყოს.

***– კონსტიტუციის ახალი რედაქციით პრეზიდენტს დებატების გარეშე აირჩევს პარლამენტი?***

– დიახ, ეს პირდაპირ წერია. გერმანიის დამსახურება კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკის ჩამოყალიბებაში ძალიან დიდია. მსოფლიოში ვერავინ მოახერხა ამ რანგის საპარლამენტო ქვეყნის ჩამოყალიბება.

***– ჩვენთან რამდენად გაამართლებს?***

– როგორი წარმატებული ქვეყანაც არის გერმანია, ამას ჩემი თქმა არ სჭირდება, მიუხედავად იმისა, რა არ გადაიტანეს, მეორე მსოფლიო ომმა როგორი ნგრევა მოუტანა.

***– გერმანიის წარმატება მხოლოდ საპარლამენტო რესპუბლიკის დამსახურებაა?***

– მე ვთვლი, რომ – კი. ევროპაში ყველა წარმატებული ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკაა. კონსტიტუციური მონარქიებიც საპარლამენტო რესპუბლიკებია. აიღეთ თუნდაც დიდი ბრიტანეთი.

***– დიდ ბრიტანეთში მთავრობას დედოფალი ამტკიცებს. ის აწერს ხელს.***

– რა თქმა უნდა, მაგრამ, ხომ ვიცით, რომ ეს მხოლოდ ფორმალობაა. მმართველი პარტიის პრემიერობის კანდიდატს ამტკიცებს ყოველგვარი ზედმეტი პოლიტიკური თამაშების გარეშე.

## აგვისტოში საარსებო მინიმუმი შემცირდა

მიმდინარე წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, საარსებო მინიმუმი 0.1 ლარით შემცირდა.

კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, აგვისტოში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 171.4



ლარს შეადგენდა, მაშინ როცა ივლისში ეს მაჩვენებელი 171.5 ლარი იყო.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი, გასულ თვეში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 4 ლარით არის გაზრდილი. კერძოდ, 2017 წლის აგვისტოში ეს მონაცემი 167.4 ლარს შეადგენდა.

საქსტატის მონაცემებით, წინა თვესთან შედარებით, აგვისტოში 0.1 ლარით შემცირდა საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი და 151.8 ლარი შეადგინა, 0.2 ლარით შემცირდა საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმიც და 287.6 ლარი გახდა. აღსანიშნავია, რომ საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი წინა წლის აგვისტოს მონაცემთან შედარებით, 6.7 ლარით არის გაზრდილი.

## აგვისტოში უცხოეთიდან გადმორიცხული ფულადი გზავილების მოცულობა 6%-ით შემცირდა

აგვისტოში საქართველოში უცხოეთიდან გადმორიცხული ფულადი გზავილების მოცულობა ივლისის თვესთან შედარებით 6%-ით შემცირდა და 135,6 მილიონი დოლარი შეადგინა. ხოლო შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თანხის ეს ოდენობა 11,3%-ით მეტია.



აგვისტოში ყველაზე მეტი თანხა რუსეთიდან გადმოირიცხა - 41,5 მილიონი დოლარი, რაც მთლიანი ფულადი გზავნილების 30%-ს შეადგენს (ივლისთან შეადრებით 1,5 მილიონი დოლარით არის შემცირებული).

მეორე გამორიცხვების მიხედვით იტალიაა - 16,2 მილიონი დოლარი. მესამე პოზიციაზე აშშ-ია, საიდანაც 14,9 მილიონი დოლარი გადმოირიცხა, მეოთხე ისრაელი - 12,9 მილიონი დოლარის გზავნილით. საბერძნეთიდან 12,6 მილიონი დოლარი გადმორიცხეს, ის მეხუთე ადგილს იკავებს. მეექვსე თურქეთია - 7,2 მილიონი დოლარით, ხოლო ესპანეთიდან აგვისტოს თვეში 3,8 მილიონი დოლარია საქართველოში გადმორიცხული.

გასულ თვეში საქართველოდან უცხოეთში 18,9 მილიონი დოლარია გადარიცხული, რაც ივლისის მაჩვენებელს უტოლდება. ხოლო შარშანდელ აგვისტოსთან შეადრებით, დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარით ნაკლებია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ერთ წელიწადში გაზრდილია ევროკავშირის ქვეყნების წილი მთლიან გზავნილებში, 29,9%-დან 32,9%-მდე.

# დემურ გიორხელიძე: „მარიხუანით ეკონომიკის აღორძინება სისულელეა“

ნონა ცაბაძე

### „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე პასუხობს.

***– ბატონო დემურ, მარიხუანა ააღორძინებს ქართულ ეკონომიკასო, ასეთ განცხადებებსაც მოვესწარით.***

– ეს არის სისულელე. მსოფლიოში არის ათობით წარმატებული სახელმწიფო, რომლებსაც წარმატებისთვის ამ გზით არ მიუღწევიათ! მარიხუანა იგივეა, რაც განუვითარებელ ქვეყნებში ნავთობის და გაზის აღმოჩენა.

***– ანუ?***

– როდესაც სახელისუფლო კლანი აჯდება რესურსს და იწყებს მის ექსპლუატაციას. ეს ყველაფერი კლანშივე რჩება, ვიწრო კლანში. დაახლოებით იგივეა მარიხუანაზე ლაპარაკი. ჯერ ერთი, როგორ უნდა გაბედოს ხელისუფლებამ, მარიხუანაზე ილაპარაკოს. ე.ი. ვიღაც ძალიან გავლენიანი ჯგუფი დაინტერესებულია ამ ბიზნესით და ამაზე ხელიც მიუწვდება. საოცარი იცით, რა არის?

***– რა?***

– თვითონ ხელისუფლებამ გაახმაურა ეს და გაახმაურა, იცით, როდის? არჩევნების წინ. აქ არის ორი მომენტი: ერთია სრული უპასუხისმგებლობა და მეორეა შეგნებულად გაკეთებული ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის.

***– ვის მიერ? თავადვე ამბობთ, რომ ხელისუფლებამ გაახმოვანა.***

– თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ხელისუფლებაში უამრავი წინა ხელისუფლებაში მყოფი ადამიანია, არ გამოვრიცხავ, რომ ეს სპეციალურად გაკეთებულია.



***– თუ პროვოკაციაა, ამას ვერ მიხვდა ხელისუფლება?***

– ეს არის ძალიან მაღალ დონეზე ვიზირებული, იმიტომ, რომ ხელისუფლების რიგითი წარმომადგენლები ამას უბრალოდ ვერ გაბედავდნენ.

***– ანუ ეს არის ვიწრო ჯგუფის ინტერესი და არანაირი ეკონომიკის აღორძინებაზე ლაპარაკი არ არის?***

– მე გეუბნებით, პროფესიული თვალსაზრისით ეს არის სისულელე! ეს არის დანგრევა, იმიტომ, რომ როდესაც კლანი ასეთ რესურსს აჯდება, განათლება, სოციალური საკითხები და სიღარიბე, ეს ყველაფერი გადადის მეორე პლანზე. შეიძლება აქ სერიოზული ფული მოვიდეს, მაგრამ მერე რა?!

***– არ წავა ბიუჯეტში?***

– არმოწყობილ სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, სად წავა ეს ფული? რა სოციალურ საჭიროებებსა და განათლებაზე?! სანამ განათლებას სერიოზულად არ შეცვლის ქვეყანა, მანამ ჩვენ კიდევ დიდი უბედურება გველის წინ.

ჩვენ უკვე მივედით იქამდე, როდესაც ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები არ ერიდებიან ამ კოშმარული განცხადებების კეთებას. ასე არ განვითარებულა არც ერთი ქვეყანა! ერთი მაგალითი მაინც მითხარით და ბოდიშს მოვუხდი ყველას და ვიტყვი, რომ ეს არის გზა.

ძალიან კარგად ვიცნობ უახლეს მაკროეკონომიკურ კვლევებს, გარკვეული ვარ, წლების განმავლობაში, დღედაღამ მუშაობით თუ როგორ ვითარდებოდნენ ქვეყნები. მათ შორის ძალიან ღრმად, მათემატიკის დონეზე მაქვს ეს ყველაფერი გააზრებული. არსად ასეთი უაზრობა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე არ მინახავს.

***– მაშინ რას ნიშნავს ეს ყველაფერი?***

– აქ არის ორი მომენტი, ან სიხარბე, რომელსაც უპასუხისმგებლობა ბადებს, ან ეს არის შეგნებული პროვოკაცია ხელისუფლების სრული დისკრედიტაციისთვის და მომზადება ნიადაგისთვის, რომ „დემოკრატიული“ გზით დაუბრუნდეს ხურდა იმ ჯგუფს, რომელსაც თავის დროზე „დემოკრატიული“ გზით დაათმობინეს ეს ყველაფერი.

არანაირი სხვა ვარიანტი არ არსებობს, ამ ორი ვარიანტის გარდა. მე უფრო მეორე ვარიანტი მგონია, ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის დაწყებული ამბავი. უფრო ეს არის შეგნებული დისკრედიტაცია, მომზადება ნიადაგის, რომ კრახით დაასრულოს ამ ხელისუფლებამ ამ არჩევნებზე.

# მანქანაში თამბაქოს მოწევა, თუ მასში ბავშვი ზის, შესაძლოა, აიკრძალოს

თუკი კერძო მანქანაში არასრულწლოვანია, თამბაქოს მოწევა არ უნდა იყოს დაშვებული – ალბათ, სამომავლოდ ასეთი შეზღუდვის შემოტანაზე უნდა ვიფიქროთ.

ამის შესახებ პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ განაცხადა.



ზოიძის ინფორმაციით, მსგავსი შეზღუდვა კერძო მანქანებთან დაკავშირებით ბევრ ქვეყანაში მოქმედებს.

როგორც ზოიძემ განმარტა, იმის გამო, რომ ტაქსებზე დაწესებული რეგულაციები მხოლოდ თბილისის მასშტაბით მოქმედებს, ასეთ პირობებში თამბაქოს მოხმარების კუთხით მათზე შეზღუდვების შემოტანა, პრობლემებს შექმნის. აკაკი ზოიძის თქმით, თუკი ტაქსების ლიცენზირების კუთხით გადაწყვეტილება მთელი საქართველოს მასშტაბით იქნება მიღებული, ცვლილებები ამ მხრივაც განხორციელდება. ზოიძემ აქვე აღნიშნა, რომ ტაქსით მომსახურების დიდ ქსელებში მძღოლებს ავტომობილში თამბაქოს მოწევა ეკრძალება, რაც დადებით ტენდენციაზე მიუთითებს.

– გპირდებით, რომ თამბაქოს კვამლისგან გათავისუფლებისთვის მომავალში აუცილებლად იქნება ცვლილებები, მაგრამ არა კანონის დასუსტების კუთხით. შემდგომში ვიფიქრებთ კანონის გამკაცრებაზე, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა 18 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მხარი დაუჭირა ცვლილებებს, რომლის საფუძველზეც თამბაქოს მოხმარების კუთხით დაწესებული შეზღუდვები, აკრძალვები და სანქციები გარკვეულწილად მსუბუქდება. ამ მიმართულებით „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონსა და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტი კომიტეტის წევრებს აკაკი ზოიძემ გააცნო. როგორც დეპუტატმა განმარტა, თამბაქოსთან დაკავშირებით მიღებულმა აკრძალვებმა და რეგულაციებმა პრაქტიკაში, აღსრულების კუთხით გარკვეული ხარვეზები გამოავლინა, რამაც კანონებში ცვლილებების შეტანის საჭიროება წარმოშვა.

ტაქსის მძღოლებს ავტომანქანაზე სარეკლამო ბანერების განთავსება შეეძლებათ, რითაც დამატებით შემოსავალს მიიღებენ

ტაქსების ერთიანი ვიზუალისა და ავტომანქანაზე სარეკლამო ბანერების შესახებ ერთიანი სტანდარტი მიმდინარე წლის 1-ლი ნოემბრისთვის დამტკიცდება. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც კალაძემ აღნიშნა, ტაქსის მძღოლებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ ავტომობილზე გამოყოფილი სარეკლამო ადგილით და კერძო სექტორთან თანამშრომლობით მიიღონ დამატებითი ფინანსური სარგებელი.

– ტაქსების რეფორმის ფარგლებში თბილისის მერია მუშაობს ტაქსის ერთიან ვიზუალურ სტანდარტზე, რომელიც ამოქმედდება 2019 წლის ოქტომბრიდან და სავალდებულო იქნება. თუმცა 1-ლი ნოემბრისთვის ეს სტანდარტი ცნობილი იქნება და ეცოდინება ლიცენზიის მქონე ყველა ადამიანს, ვისაც უნდა, ტაქსის სერვისი გასწიოს.

აღნიშნული სტანდარტი გაითვალისწინებს ტაქსის ერთიან დიზაინში რეკლამის განთავსების ადგილს, რომელიც მძღოლებს შეუქმნის დამატებით შემოსავალს. ტაქსის მძღოლებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ ავტომობილზე გამოყოფილი სარეკლამო ადგილით და კერძო სექტორთან თანამშრომლობით მიიღონ დამატებითი ფინანსური სარგებელი. მგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამის განსაზღვრა და იმ მძღოლებს, ვისაც ექნება ტაქსის ლიცენზია, საშუალება ექნებათ, დამატებით შემოსავალი მიიღონ, – განაცხადა კალაძემ.

# საპენსიო სააგენტოს დირექტორად ლევან სურგულაძე დაინიშნა

საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭომ ლევან სურგულაძე სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანონის თანახმად, კონკურსის წესით შეარჩია. სსიპ საპენსიო სააგენტოს დირექტორის პოსტზე საჯარო კონკურსი 10 აგვისტოს გამოცხადდა, სულ შემოვიდა 70 განაცხადი. შემოსული განაცხადებიდან კონკურსის ფინალური ეტაპისთვის სამეთვალყურეო საბჭომ 8 კანდიდატი შეარჩია - მათ 14 სექტემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში საბჭოს წევრებთან გასაუბრება გაიარეს.



სამეთვალყურეო საბჭომ ლევან სურგულაძე საპენსიო სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე ერთხმად დაამტკიცა. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ აღნიშნა, მისი თანამდებობაზე დანიშვნისას მთავარი ფაქტორები იყო პროფესიონალიზმი, მდიდარი სამუშაო გამოცდილება და ამ პოსტისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ლევან სურგულაძეს მიღებული აქვს ბაკალავრის (BS) და მეცნიერებათა მაგისტრის (MS) ხარისხები ფიზიკაში მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი (PhD) ფიზიკაში მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიიდან (მოსკოვი), ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) ფინანსების და ფინანსური ინჟინერიის სპეციალიზაციით (აშშ), ფილოსოფიის დოქტორის (PhD) კურსი ფინანსური ინჟინერიის სპეციალიზაციით (აშშ).

2009 წელს ლევან სურგულაძე დაინიშნა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრად, სადაც მუშაობდა ამ სააგენტოს ეროვნულ ბანკთან შერწყმამდე. 2011 წელს, სურგულაძე დაინიშნა საქართველოს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და დანიშვნებისა და ანაზღაურების კომიტეტების თავმჯდომარედ.

საპენსიო სააგენტო არის „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებაზე, მართვასა და ადმინისტრირებაზე.

დირექტროის თანამდებობრივი სარგო 10.000 ლარიდან 15.000 ლარამდე იქნება.

„საპენსიო სააგენტოს დირექტორის მოვალეობებში შედის საპენსიო სააგენტოს მართვა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით. დირექტორი არ მონაწილეობს საპენსიო აქტივების საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში და ანგარიშვალდებულია საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

ბმ.გე

# ბიზნესმა საკონსტიტუციო სასამართლოში ხორბლის სახმელეთო გადაზიდვის აკრძალვა გაასაჩივრა

ფინანსთა მინისტრის ახალი ბრძანება, რომელიც 1 ოქტომბრიდან ხორბლისა და მარცვლეულის სახმელეთო გადაზიდვებს აჩერებს, 19-მა ბიზნესოპერატორმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

მეფრინველეთა ასოციაციის თავმჯდომარის ზურაბ უჩუმბეგაშვილის ინფორმაციით, სარჩელს 19 კომპანია აწერს ხელს, რომლებიც მეფრინველეობის დარგში, ხორბლის სახმელეთო გზით გადაზიდვის და საფურაჟე მარცვლეულის წარმოების სეგმენტში საქმიანობენ:

— ფინანსთა მინისტრის დაუსაბუთებელი და უსამართლო გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივრეთ. ველოდებით ვერდიქტს. ჯერ ამ საკითხის განხილვა სასამართლოში არ დაწყებულა და, ვფიქრობთ, რომ ფინანსთა მინისტრმაც თავისი ბრძანებულებს ვადა 15 სექტემბრიდან გადასწია 1 ოქტომბრამდე. ჩვენ ვერდიქტს ველოდებით, — ამბობს ზურაბ უჩუმბეგაშვილი.

მისი თქმით, ფინანსთა მინისტრი ამ გადაწყვეტილებით გარკვეულ ბიზნესჯგუფებს ლობირებს, რომლებსაც მარცვლეული საზღვაო და სახმელეთო გზით გადააქვთ:




— მანდ არის კონკრეტული მიზანი, რაც იყო 2008 წელს კვერცხთან და 2010-ში ქათამთან მიმართებაში. და ასევე რატომ მოხდა თავის დროზე დღგ-ს გადასახადის შემოღება მარცვლეულზე. ახლაც მიზანია კონკრეტული ჯგუფების ლობირება და ფულის გაკეთება. ახლაც გარკვეულ ბიზნესჯგუფებს ლობირებენ პორტებში და რკინიგზაში, — ამბობს ზურაბ უჩუმბეგაშვილი.

ფინანსთა მინისტრის ივანე მაჭავარიანის განცხადებით, ხორბლის ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებით გადაწყვეტილება კარგად გათვლილი და სახელმწიფოებრივია:

— ბიზნესზე არანაირი ზეწოლა არ ხდება. საქართველოს ტერიტორიაზე მანქანებით ხორბლის ტრანსპორტირებასა და ტრანზიტზე შეზღუდვები დავაწესეთ, რადგან პრაქტიკულად, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე იყო ძალიან დიდი რიგები, ტურისტები ვერ ახერხებდნენ შემოსვლას, ასეულობით მანქანა ბრუნდებოდა უკან. ჩვენი ინფორმაციით, განსაკუთრებით, ეს პრობლემა აღინიშნებოდა ლარსის გამშვებ პუნქტზე. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ არსებობს გაცილებით ცივილიზებული და ეფექტური გზა, ეს არის საზღვაო ტრანსპორტისა და რკინიგზის გამოყენება და სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ პრაქტიკულად, ყოველთვის ამ გზით ხდებოდა ხორბლის ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიიდან სომხეთში და ასევე საქართველოში შემოტანა. ჩვენი აზრით, ეს არანაირ დისონანსს არ შემოიტანს ეკონომიკაში და არც არანაირ გაძვირებასთან არ ექნება კავშირი. ეს არის ცივილიზებული და სწორი გადაწყვეტილება, — განაცხადა მაჭავარიანმა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 1 სექტემბრიდან საქართველოდან სომხეთის მიმართულებით ხორბლის სარკინიგზო გადაზიდვაზე ტარიფი განახევრდა. ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს რკინიგზაში დაადასტურეს.

**კომერსანტი**

# კახა კალაძე: „სვეტის“ დაზარალებულებს ჩემს თანადგომას კიდევ ერთხელ ვუდასტურებ



დედაქალაქის მერ კახა კალაძის განცხადებით, სამშენებლო კომპანია „სვეტის“ მიერ დაზარალებულ მოსახლეობას თბილისის მერია ხელს ყველანაირად შეუწყობს.

როგორც კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, მერის მოადგილე ილია ელოშვილი „სვეტის“ მიერ დაზარალებული მოქალაქეების საინიციატივო ჯგუფის წევრებს შეხვდა.

— სამშენებლო კომპანია „სვეტთან“ დაკავშირებულ საკითხი ისევ საკმაოდ აქტუალურია. პირადად მე ძალიან ბევრი შეტყობინება მომდის, თუ რა იქნება, როგორ იქნება და რა მდგომარეობაა. გასულ კვირას, ჩემი მოადგილე ილია ელოშვილი „სვეტის“ მიერ დაზარალებული მოქალაქეების საინიციატივო ჯგუფს შეხვდა და არსებული მდგომარეობა დეტალურად განიხილეს. კიდევ ერთხელ მინდა დაგიდასტუროთ მერიის და პირადად ჩემი თანადგომა — ყველანაირად ხელი შეგიწყოთ, დაგეხმაროთ, რომ რაც გადახდილი გაქვთ, არ დაკარგოთ, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნულ საკითხზე გამოძიება დაწყებულია, რომელიც ეფექტურად მიმდინარეობს.

— ერთი მხრივ, გამოძიება საკმაოდ ეფექტურად მიმდინარეობს და მეორე მხრივ, რაც ჩვენს პრეროგატივაში შედის, ამ მიმართულებით, თბილისის მერია ყოველთვის გვერდში დაგიდგებათ და დაგეხმარებათ, რომ ეს პროექტები დასრულდეს. დაახლოებით, 14 ლოკაციაზე იყო დაწყებული მშენებლობები და 14-ვე იყო უნებართვო, რაც სერიოზული პრობლემაა. რა თქმა უნდა, ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ. თითოეული ჩვენგანისთვის უნებართვო, უკანონო მშენებლობები კატეგორიულად მიუღებელია. განსაკუთრებით, ეს ეხება 2015-2016 წლებს და ნაწილი 2017 წელს, როდესაც უკანონო მშენებლობები მიმდინარეობდა. ჩვენი მხრიდან მაქსიმალური თანადგომა გექნებათ, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

# ალკოჰოლის მსხვრევადი ჭურჭლით რეალიზაცია, შესაძლოა, შეიზღუდოს



მსხვრევადი ჭურჭლით ალკოჰოლის რეალიზაცია, შესაძლოა, შეიზღუდოს.

ამის შესახებ საუბარია დაავადებათა კონტროლის მიერ მომზადებულ სამოქმედო სტრატეგიაში, რომელიც „ბიზნესპრესნიუსმა“ მოიპოვა.

როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, ამის მიზანი ძალადობისა და აგრესიული ქმედებების შემცირებაა.

ამავე სტრატეგიის მიხედვით, ალკოჰოლი უნდა მოთავსდეს პოლიეთილენისა და არა — მსხვრევად ჭურჭელში.

შეგახსენებთ, რომ ალკოჰოლის მოხმარება, რეალიზაცია, ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით დაავადებათა კონტროლის მიერ მომზადებული სამოქმედო სტრატეგია მალე პარლამენტს გადაეგზავნება.

**ბიპინი**

# აფხაზეთში პირველი კუპიურა გამოუშვეს




დე ფაქტო აფხაზეთში გამოუშვეს პირველი ქაღალდის ფული დე ფაქტო პირველი პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბას გამოსახულებით.

ბანკნოტის დამზადება საქართველოსთან „გამარჯვების“ 25 წლისთავს ეძღვნება. პირველი ქაღალდის ფული — 500 აფსარის (500 „აფსარი“ — 5 ათასი რუსული რუბლის ექვივალენტი — დაახლოებით, 73 აშშ დოლარი) უკანა ფონზე აფხაზი მებრძოლები ჩანან, ხელში აფხაზური დროშით. აქ ნახავთ შვიდ ვარსკვლავსაც, რომელიც „სახელმწიფო“ სიმბოლიკაზეა დატანილი.

„აფხაზეთის ეროვნული ბანკის“ ხელმძღვანელის, ბესლან ბარათელიას თქმით, ეს არის ქაღალდის პირველი ფული აფხაზეთის ისტორიაში. ბანკნოტი მიმოქცევაში 2018 წლის 29 სექტემბერს ჩაეშვება და მისი ტირაჟი 10.000-ია.

**კომერსანტი**

# აუდიტის სამსახური: „აწარმოე საქართველოს“ 46-მა ბენეფიციარმა კონტრაქტის პირობები არ შეასრულა“

„აწარმოე საქართველოში“ დაფინანსებული ბიზნესების შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას არ ფლობენ, ამის შესახებ აუდიტის სამსახურის ანგარიშია ნათქვამი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემოწმების შედეგად აუდიტის სამსახურმა გარკვია, რომ 2017 წელს სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოს“ 46-მა ბენეფიციარმა, რომელთა დაფინანსებამ შეადგინა 315,104 ათასი ლარი, კონტრაქტის პირობები არ შესრულა. აუდიტის დასკვნის თანახმად, აღნიშნული თანხა „აწარმოე საქართველოს“ ფინანსურ ანგარიშგებაში საერთოდ არ არის ასახული.

აუდიტის დასკვნაში წერია, რომ „აწარმოე საქართველოს“ ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 4 კომპანიასთან, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ მიკრო და მცირე საწარმოების მხარდაჭერის პროგრამის იმპლემენტაციას და გასცემენ რეკომენდაციებს სააგენტოს მიერ პროგრამის ბენეფიციარის(ების) თანადაფინანსებასთან დაკავშირებით. მას შემდეგ რაც კონტრაქტორი სააგენტოს მიაწვდის ინფორმაციას შერჩეული კანდიდატების შესახებ სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ. დაფინანსების შემთხვევაში სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სააგენტო უფლებამოსილია, უკან მოითხოვოს ბენეფიციარის მიერ არამიზნობრივად დახარჯული თანხა.




ამასთან, კონტრაქტორი ვალდებულია, სსიპ-ს წარმოუდგინოს ბენეფიციარების მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები, რაც ხშირ შემთხვევაში არ სრულდება. „აწარმოე საქართველოში“ ვერ ფლობს სრულ ინფორმაციას პრობლემური ბენეფიციარების შესახებ. ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული გაცემული თანხის მოთხოვნა და მათი დაბრუნებისთვის განხორციელებულა ქმედებები. ამასთან აღსანიშნავია, რომ სააგენტოში არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმები რაც უზრუნველყოფდა კონტრაქტორების მიერ ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმებას“, — წერია აუდიტის დასკვნაში.

„აწარმოე საქართველოში“ 2014 წლის 30 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატისაგან იჯარით აღებული აქვს არასაცხოვრებელი შენობა, რომელიც მდებარეობს თბილისში მარჯანიშვილის ქუჩა №5/16-18-ში.

ხელშეკრულების მიხედვით საიჯარო ფართი განისაზღვრა 198 მ 2-ით, ხოლო ყოველთვიური საიჯარო ქირა 3.564 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნულ ხელშეკრულებაში პერიოდულად შედიოდა ცვლილებები, რაც ითვალისწინებდა საიჯარო ფართის ან/და იჯარის ყოველთვიური ქირის ზრდას.

2017 წლის 7 სექტემბრიდან საიჯარო ფართი შეადგენდა 921,59 მ 2-ს ხოლო საიჯარო ქირა 16.378 აშშ დოლარს. 2014-2017 წლებში სსიპ-მა ქირის სახით გადაიხადა 946.883 ლარი, მათ შორის 2017 წლის საიჯარო ქირამ 420.735 ლარი შეადგინა. აუდიტი დასკვნაში წერს, რომ სსიპ-მა ვერ წარმოადგინა ხარჯეფექტურობის ანალიზი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვა ალტერნატივის დანახარჯისა და სარგებლის შედარება და საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება.

**კომერსანტი**

# ირაკლი ლექვინაძე: „კონსულტაცია გვქონდა კომპანია „ომეგასთან“ და მზად ვართ, ამ დავალიანების დროში ოპტიმალურად გაწერის ნაწილში ვიშუამდგომლოთ“



ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე ტელეკომპანია „იბერიის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, ჩანაწერების ავთენტურობა უნდა გაირკვეს, რადგან მოცემულ სიტუაციაში მეტი სიცხადეა საჭირო.

მისივე თქმით, კომპანია „ომეგას“ სახელმწიფოს მიმართ გარკვეული ვალდებულებები აქვს.

— მნიშვნელოვანია, გაირკვეს რამდენად ავთენტურია ეს ჩანაწერები, მეორე მხარის განცხადებით, ეს იყო საქმიანი ბიზნესშეხვედრა და ალბათ, უფრო მეტი სიცხადეა საჭირო, როცა ამ ტიპის ჩანაწერები ვრცელდება. ზოგადად, როცა საუბარი მიდის საქმიან ბიზნესმოლაპარაკებებზე, ცოტა არაეთიკურია, როცა ამგვარი შეხვედრის ჩაწერა ხდება და შემდეგ მისი გასაჯაროება, რადგან ასეთი ტიპის მოლაპარაკებებში ბევრი დელიკატური და სენსიტიური საკითხია, სადაც ცალკეული პიროვნებები, რეალურად ან არარეალურად იქნენ დასახელებულები. ზოგადად კი, „ომეგა ჯგუფის“ დაკავშირება ტელეკომპანია „იბერიასთან“ და ტელევიზიის გამოყენება იმ კუთხით, რომ კომპანია „ომეგას“ გააჩნია გარკვეული ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მის მიერვე არის დეკლარირებული, ეს ასე არ უნდა ხდებოდეს, ნებისმიერი საგადასახადო ვალდებულება უნდა იყოს შესრულებული. ჩვენ გვქონდა ამ საკითხზე კონსულტაცია კომპანია „ომეგასთან“ და მზად ვართ, რომ ვიშუამდგომლოთ ამ დავალიანების დროში ოპტიმალურად გაწერის ნაწილში, ამის შესახებ რეკომენდაციაც გვაქვს გაცემული, მაგრამ ის რაც ხდება კომპანიის მხრიდან ტელევიზიის გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის, ვფიქრობ, ეს არის არაკორექტული, — განაცხადა ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ.

# მუნიციპალური პარკინგის ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენების შემთხვევებზე ჯარიმა გაიზრდება



თბილისის მერი კახა კალაძე ინიციატივით გამოდის, მუნიციპალური პარკირების ადგილების ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენების შემთხვევებზე ჯარიმის ოდენობა გაიზარდოს.

როგორც კალაძემ გუშინ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, წინა სხდომაზე გაცემული დავალების შესაბამისად, „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ კანონდამრღვევების დაჯარიმება დაიწყო, თუმცა, ვინაიდან ჯარიმის ოდენობა დაბალია, მუნიციპალური პარკინგის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევები გრძელდება.

— ქალაქში, სამწუხაროდ, არის ქუჩები, სადაც მუნიციპალური პარკირების ადგილები დაკავებული აქვთ სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობისთვის. ეს არის მისაბმელიანი ავტომობილები, ხშირ შემთხვევაში, გახსნილი აქვთ ტურისტული ბიუროები, ვიზების მომსახურება;

არის შემთხვევები, როდესაც საპარკინგე ადგილები შევსებულია გასაქირავებელი ავტომანქანებითა და მოქალაქეებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, მუნიციპალური პარკინგით ისარგებლონ. ჩემი დავალება იყო, რომ განგვეხორციელებინა დაჯარიმება, რაც „სატრანსპორტო კომპანიას“ დაევალა. რა თქმა უნდა, გამოიწერა ჯარიმები, თუმცა, როგორც ჩანს, ჯარიმის ოდენობა ძალიან დაბალია — 10 ლარი და ეს ადამიანები თავიანთ საქმიანობას განაგრძობენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლას არანაირად არ ვეწინააღმდეგებით, თუმცა ქალაქში არსებობს ძალიან ბევრი ლოკაცია, სადაც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია. არავის აქვს უფლება, ადამიანებს, რომლებიც კეთილსინდისიერად იხდიან პარკირების საფასურს, ავტომობილის გაჩერება შეუზღუდონ. შესაბამისად, მინდა ირაკლი ხმალაძეს დავავალო, დაიწყეთ მუშაობა კანონპროექტზე, რომ მოხდეს ჯარიმის ოდენობის გაზრდა, გამკაცრება, რათა შედეგი გამოიღოს, — განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, ჯარიმის ოდენობის გაზრდამ შედეგი სამშენებლო სექტორის შემთხვევაში უკვე გამოიღო.

— ჩვენ იგივე მიდგომა და დამოკიდებულება გვქონდა, როდესაც მშენებლობებზე უსაფრთხოების თვალსაზრისით, გადაწყვეტილებები მივიღეთ. ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ამ მიდგომას. საუბარი იყო, რომ ჯარიმების გაზრდით, აღნიშნულ პრობლემას ვერ მოვაგვარებდით, თუმცა შედეგი უკვე სახეზეა. აქაც მინდა ვთქვა, რომ ეს არ არის ის შედეგი, რისი მიღებაც ჩვენ საბოლოოდ გვინდა, თუმცა სამშენებლო უსაფრთხოება მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული, — აღნიშნა კახა კალაძემ.

**ბიპინი**

# პაატა ბურჭულაძე კობა დავითაშვილს უჩივის და მისგან 25.000 ლარს ითხოვს

პაატა ბურჭულაძე კობა დავითაშვილს საქალაქო სასამართლოში უჩივის. მსოფლიო ბანი დავითაშვილისგან ბოდიშის მოხდას პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო ითხოვს.

მისმა ადვოკატმა, მარიამ ჩიქოვანმა, გუშინ, 18 სექტემბერს, საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

კობა დავითაშვილმა ინგა გრიგოლიას გადაცემა რეაქციაში რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ბურჭულაძე ფონდ „იავნანადან" ფულს იპარავდა.

ბურჭულაძე, ბოდიშთან ერთად, დავითაშვილისგან კომპენსაციის სახით 25 ათას ლარს





ითხოვს. უფლებადამცველის განცხადებით, ეს თანხა ფონდში გადაირიცხება.

— კობა დავითაშვილმა საჯაროდ დასდო ბრალი პაატა ბურჭულაძეს ბავშვების ფულის მოპარვაში. მან განაცხადა, რომ პაატა ბურჭულაძე იპარავდა ფონდ იავნანაში საქველმოქმედო მიზნით შესულ თანხებს და იდებდა ჯიბეში. გარდა იმისა, რომ ეს განცხადება წარმოადგენს სიცრუეს და ცილისწამებას, ის არის მიზანმიმართული პიარკამპანიის ნაწილი, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია, მიმდინარეობს პაატა ბურჭულაძის დისკრედიტაციის მიზნით, — განაცხადა ადვოკატმა.

# „ჩემივე სურვილია, დავრჩე პატიმრობაში"

## სასამართლომ მირზა სუბელიანი და მერაბ მორჩაძე პატიმრობაში დატოვა



საქალაქო სასამართლომ მირზა სუბელიანის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. გუშინდელ პროცესზე მოსამართლემ იმსჯელა იმ მოწმეთა ნუსხასა და მტკიცებულებაზე, რომელიც არსებითი განხილვის დროს იქნება წარმოდგენილი და სია სრულად დამტკიცდა.

დაცვის მხარემ დამატებით მოითხოვა მოწმის სახით პროკურორის მიხეილ შაყულაშვილის დაკითხვაც, რადგან მასთან კითხვები აქვს თავად ბრალდებულსაც. გარდა ამისა, პროცესზე მოსამართლემ იმსჯელა მირზა სუბელიანისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე და ის პატიმრობაში დატოვა.

პატიმრობაში დარჩენის სურვილი პროცესზე თავად სუბელიანმაც გამოთქვა.

— რაც შეეხება სახელმწიფო ბრალდებას და მის მიერ ჩამოყალიბებულ პოზიციას, ვეთანხმები აბსოლუტურად იმიტომ, რომ არსებობს ფორმალურად გამოყენების როგორც პროცესუალური ასევე ფაქტობრივი საფუძვლები და, მე მგონი, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო ბრალდებას თვით ბრალდებული ეთანხმება და მე არ მსურს, რომ შემეცვალოს აღკვეთის ღონისძიება.

ჩემივე სურვილია, დავრჩე პატიმრობაში და ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი საქმეს, — განაცხადა მირზა სუბელიანმა.

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტსა და პროკურატურის ყოფილ მაღალჩინოსანს გამოძიება დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავება; თუმცა გარდაცვლილი არასრულწლოვანის, დათუნა სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე, მას საქმეში არსებული მტკიცებულებების გაყალბებასა და მკვლელების მფარველობაში ადანაშაულებს.

— რაც შეეხება მირზა სუბელიანის ბრალს, შსს-ს გამოძიების ამ ეტაპზე არ დაუდია არც ერთი ისეთი მტკიცებულება, რომელიც მის ქმედებაში ახალი დანაშაულის ნიშნებს გამოკვეთდა. შესაბამისად, მას კვლავ დანაშაულის შეუტყობინებლობა ედება მხოლოდ და მხოლოდ ბრალად, — განაცხადა ადვოკატმა ინგა ჩალაურმა.

საქალაქო სასამართლომ მერაბ მორჩაძის საქმეც განიხილა. ის ბრალდებულია მოწმეზე ზემოქმედებაში. მერაბ მორჩაძის საქმე ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეს ცალკე გამოეყო. ისევე, როგორც ეს მირზა სუბელიანის შემთხვევაში მოხდა.

თავად ბრალდებულ მერაბ მორჩაძე პროცესს არ დასწრებია. ადვოკატების განმარტებით, მას აქვს ჯანმრთელობის პრობლემა. სასამართლომ იმსჯელა მისთვის აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის თაობაზე, მაგრამ მერაბ მორჩაძე პატიმრობაში დატოვა.

— სასამართლოს მხრიდან აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხის განხილვა დაემსგავსა მხოლოდ ფორმალურ გადასინჯვას. ვინაიდან დღეს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, პირი ვერ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე. ეს გარემოება სასამართლომ არ ჩათვალა მნიშვნელოვნად, — განაცხადა ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა.

როგორც სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ბრალდების მხარემ აღნიშნა, არსებობდა რისკი მოწმეებზე ზემოქმედების, სწორედ ამ მიზნით იქნა მოთხოვნილი მერაბ მორჩაძის პატიმრობაში დატოვება.



— რისკები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სხვა გარემოებები მას ვერ გადაწონის და ბრალდებული დარჩა პატიმრობაში. საქმეზე არსებითი განხილვა გაიმართება. მოწმეები პროცესზე უნდა დაიკითხონ. შესაბამისად, მათ დაკითხვამდე ყოველთვის არსებობს რისკი იმისა, რომ შესაძლოა მათზე მოხდეს ზემოქმედება, — განაცხადა პროკურორმა მირიან მეგრელიშვილმა.

# ნიკა გვარამია: „ერთ ბიზნესმენს ქუმსიშვილთან ყოველთვიურად 70 ათასი დოლარი მიჰქონდა. მას მისტერ 10 პროცენტს ეძახდნენ"



სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია, „ომეგა ჯგუფსა" და თამბაქოს ბიზნესის წილების გადანაწილებაზე საუბრობს.

17 სექტემბერს გავრცელებული აუდიოჩანაწერიდან ირკვევა, რომ თამბაქოს წილების გადანაწილებაში ყოფილი მაღალჩინოსნებიც ფიგურირებდნენ, მათ შორის, დიმიტრი ქუმსიშვილი.

— ქუმსიშვილს უცხოელებშიც კი, პირად საუბრებში „მისტერ 10 პროცენტი" ჰქვია, ის ყველგან წილში იყო, პრაქტიკულად, რა თქმა უნდა, არა ქუმსიშვილი, მისი სახით მაღალი სუბსტანციები, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

ნიკა გვარამიამ აღნიშნა, რომ ერთ-ერთმა ბიზნესმენმა მასთან საუბრისას აღნიშნა, რომ დიმიტრი ქუმსიშვილთან ყოველთვიურად მიჰქონდა 70 ათასი დოლარი.

გვარამიას თქმით, მმართველი პარტია შავი ფულით ფინანსდება.

— ჩვენ ვიცით, რომ ქუმსიშვილი იყო პარტიის შავი ფულის შემგროვებელი და ჩვენ მოსმენილი გვაქვს ერთერთი ბიზნესმენისგან და მე არაერთი ბიზნესმენისგან, რომ მათ კონკრეტული ტარიფი ჰქონდათ დაწესებული და მათ ჩემოდნით მიჰქონდათ ყოველთვიურად, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

გავრცელებული აუდიოჩანაწერიდან ირკვევა, რომ ბიძინა ივანიშვილის სახელით თამბაქოს ბაზრის წილებს მისი დეიდაშვილი უჩა მამაცაშვილი ანაწილებს. საქმეში ჩართულები არიან ყოფილი ვიცეპრემიერი, დიმიტრი ქუმსიშვილი და ყოფილი მთავარი პროკურორი, ოთარ ფარცხალაძე. ამ ჩანაწერით დგინდება, რომ ბიზნესს სწორედ ქუმსიშვილი უწესებდა კვოტებს, ვის რამდენი სიგარეტის გაყიდვა შეეძლო.

**რუსთავი 2**

# ზურაბ ვარდიაშვილი: „პოლიციაში ჩემზე თავდამსხმელების ფოტოების ამოცნობა მთხოვეს"



ისანი-სამგორის პოლიციის განყოფილებაში „ლიბერალის" რედაქტორზე თავდასხმასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები 17 სექტემბერს გვიან ღამემდე გაგრძელდა.

ზურაბ ვარდიაშვილს გამომძიებლებმა ფოტოები უჩვენეს, თუმცა მან სავარაუდო დამნაშავეების ამოცნობა ვერ შეძლო.

— დამატებითი დეტალები არ ვიცი. მთხოვეს ამომეცნო, მაჩვენეს ფოტოსურათები. გამოძიებამ თავიდანვე იცოდა, რომ მე თავდამსხმელების სახეების თვალის შევლებაც ვერ შევძელი.

გამომძიებელმა მითხრა, რომ არ მინდა მოვლენებს გავუსწროთ, აი, ხვალ დილით რომ გაიღვიძებ და დარეკავ, გეტყვით, რა პასუხსაც დაგახვედრებთ, — ამბობს ვარდიაშვილი.

მისი თქმით, პოლიციას დასაკითხად ერთი პირი ჰყავდა.

პოლიციელებმა ეჭვმიტანილი, სავარაუდოდ, დააკავეს. გამოძიება ცემის მუხლით მიმდინარეობს.

რამდენიმე პირი „ლიბერალის" რედაქტორს თავს შაბათს დაესხა. ერთ-ერთი ვერსიით, თავდამსხმელებს ვარდიაშვილი სხვა პიროვნებაში აერიათ.

**რუსთავი 2**

# პიკასოზე თავდასხმაში ბრალდებულები სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

მომღერალ ირაკლი ნოზაძეზე თავდასხმის საქმეზე ბრალდებული ორივე ქალი სასამართლომ პატიმრობაში დატოვა.



თამთა ჯანჯღავა, რომელსაც გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობას ედავება, ბრალს მხოლოდ ნაწილობრივ აღიარებს, ნათია თოფურია კი ადასტურებს, რომ მან დანაშაული დაფარა.

# დააკავეს პირი, რომელმაც ბათუმის ცენტრში კაცს 7 ტყვია ესროლა

სამართალდამცველებმა დააკავეს27 წლის კაცი, რომელმაც ბათუმის ცენტრში შუახნის კაცს ცეცხლსასროლი იარაღიდან 7 ტყვია ესროლა. ინფორმაციას „აჭარის ტელევიზია" ავრცელებს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, 1991 წელს დაბადებული ვ.მ. წარსულში ნასამართლევია. მას გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავება.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში რჩება. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დაზარალებულს სამი ტყვია ფეხში მოხვდა, ხოლო ერთმა ტყვიამ ხელის მტევანი დაუზიანა.

შემთხვევა 15 სექტემბერს ლუკა ასათიანის ქუჩაზე მოხდა.

# სასამართლომ ზაზა ხასაიას გირაო შეუფარდა

სუს-ში ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სადაც ზუგდიდის ყოფილი მერი და ვიცემერი ფიგურირებენ, დაკავებულ ზაზა ხასაიას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა.

პროკურატურამ სასამართლოს ბრალდებულის მიმართ საპატიმრო გირაოს გამოყენების შუამდგომლობით მიმართა, რაც სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა.

ზაზა ხასაია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში 16 სექტემბერს დააკავეს. ის საქმის ფიგურანტი ბიზნესმენის, ზურაბ კვირკვიას დაცვის უფროსია.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა სკანდალური აუდიოჩანაწერი, რომელშიც ბიზნესმენი ზურაბ კვირკვია ზუგდიდის უკვე ყოფილ მერს, ლაშა გოგიას ესაუბრება.

ჩანაწერში ბიზნესმენი გოგიას ახსენებს, როგორ გადასცა გარიგების სანაცვლოდ მის მოადგილეს, გია გულორდავას 10 ათასი დოლარი კონვერტით. ასევე დამატებით როგორ ჩარიცხა კონკრეტულ საბანკო ანგარიშზე 30 ათასი ლარი.

ზუგდიდის მერმა ლაშა გოგიამ თანამდებობა სუსში დაბარებიდან მეორე დღეს, 12 სექტემბერს დატოვა.

# ყვარელში 25 წლის ქალი დაიკარგა

## ის სახლიდან ქმართან ჩხუბის შემდეგ გაიქცა



ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანტლის-ყურეში 25 წლის ქალს ეძებენ. ასიათა საიდოვა სახლიდან 4 დღის წინ გავიდა.

ოჯახის წევრების განცხადებით, ის სახლიდან მეუღლესთან კონფლიქტის შემდეგ წავიდა. მათივე თქმით, ამავე მიზეზით ქალმა თვითმკვლელობაც ცადა.

სამძებრო ოპერაციაში სამართალდამცავები არიან ჩართული. შსს-ს ინფორმაციით, საიდოვას საქართველოს საზღვარი არ გადაუკვეთია.

**რუსთავი 2**

# ასადის რეჟიმმა სირიაში რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდო

## რუსეთი ისრაელს ემუქრება, ისრაელი ბრალდებებს უარყოფს

17 სექტემბერს საღამოს სირიაში ხმეიმიმის ავიაბაზის დისპეტჩერებმა რუსული თვითმფრინავის ილ-20-ის ეკიპაჟთან კავშირი დაკარგეს.

ბორტზე 15 ადამიანი იმყოფებოდა.

თვითმფრინავის გაუჩინარებასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია გავრცელდა. სირიული მხარე აცხადებდა, რომ თვითმფრინავი ისრაელის ავიაციამ ჩამოაგდო. დასავლეთის მედია კი წერდა, რომ რუსული თვითმფრინავი შეცდომით თავად სირიის სამთავრობო ძალებმა ჩამოაგდეს, მაშინ როცა ისრაელის რაკეტების ჩამოგდებას ცდილობდნენ.



მოგვიანებით თავად რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა, რომ ილ-20, რომელიც ფრენას ხმელთაშუა ზღვის თავზე ასრულებდა, სირიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების მიერ იქნა ჩამოგდებული.

უწყებაში მიიჩნევენ, რომ რუსული თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზი ისრაელის ბომბდამშენები გახდნენ, რომლებიც შეტევას ლატაკიის პროვინციაზე ახორციელებდნენ. თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად 15 რუსი სამხედრო დაიღუპა.

– ისრაელი მფრინავები რუსულ თვითმფრინავს იყვნენ ამოფარებულები და ის სირიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების ცეცხლის ქვეშ მოაქციეს, რის შედეგადაც ილ-20, რომელსაც ფ-16-ზე ეფექტური ამრეკლი ზედაპირი აქვს, ცე-200-ის სარაკეტო კომპლექსით ჩამოაგდეს, – განაცხადა რუსეთის თავდაცვის უწყების წარმომადგენელმა იგორ კონაშენკოვმა.

მისი თქმით, ისრაელ მფრინავებს და საავიაციო კონტროლის საშუალებებს არ შეიძლებოდა არ შეემჩნიათ რუსული თვითმფრინავი, რადგან ის 5 კმ-ის სიმაღლიდან დაშვებას ახორციელებდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, განზრახ წავიდნენ ამ პროვოკაციაზე.

– ისრაელი სამხედროების უპასუხისმგებლო ქმედებების შედეგად 15 რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ეს ქმედება აბსოლუტურად არ შეესაბამება რუსეთ-ისრაელის პარტნიორობის სულისკვეთებას, – განაცხადა კონაშენკოვმა და დაამატა, რომ რუსეთი იტოვებს უფლებას ადეკვატურ საპასუხო ქმედებაზე ისრაელთან დაკავშირებით.

მოგვიანებით რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ ისრაელ კოლეგას, ავიგდორ ლიბერმანს, დაურეკა.

– სირიაში რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებასა და ეკიპაჟის დაღუპვაში ისრაელია დამნაშავე, – უთხრა შოიგუმ ლიბერმანს.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო არაერთხელ მოუწოდებდა ისრაელს, თავი შეეკავებინა სირიის ტერიტორიაზე ავიადარტყმების განხორციელებისგან, რაც საფრთხეს უქმნის რუსი სამხედროების უსაფრთხოებას.

მალე ისრაელმა საპასუხო განცხადება გააკეთა.

– ისრაელი რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას სირიის რეჟიმს აკისრებს, – ნათქვამია ისრაელის თავდაცვითი ძალების განცხადებაში.

მასში აღნიშნულია, რომ ისრაელი მწუხარებას გამოთქვამს რუსული თვითმფრინავის ეკიპაჟის დაღუპვასთან დაკავშირებით, რომელიც ჩამოგდებული იყო სირიის მიერ.

– სრული პასუხისმგებლობა მომხდარზე ასადის რეჟიმს ეკისრება, – ნათქვამია განცხადებაში.

ისრაელის თავდაცვით ძალებში ასევე აღნიშნეს, რომ 17 სექტემბერს საღამოს ისრაელის ავიაციამ რეიდი განახორციელა სირიაში მდებარე ობიექტებზე, რომლებშიც იწარმოებოდა ლეტალური შეიარაღება, რომელიც, ირანის დავალებით, ლიბანში ჰეზბოლასთვის უნდა ყოფილიყო გადაცემული.



# ტრამპი იმპიჩმენტისთვის მზადაა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა არ გამორიცხა, რომ კონგრესის არჩევნების შემდეგ შესაძლოა იმპიჩმენტი გამოუცხადონ.

– თუ ყველაფერი კანონისა და წესის მიხედვით წარიმართა, ამას უდრტვინველად დავემორჩილები. პრეზიდენტის პოსტსაც ისე დავტოვებ, რომ ქვეყანაში არავითარი ექსცესები არ იქნება, – თქვა ტრამპმა.

ამავე დროს, პრეზიდენტმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს.

– იმპიჩმენტის შემთხვევაშიც კი პოლიტიკიდან არ წავალ. 2020 წლის არჩევნებისთვის მოვემზადები, გავიმარჯვებ და კვლავ პრეზიდენტი გავხდები, – ამბობს ტრამპი.

# იდლიბში შტურმი არ იქნება

## ერდოღანი პუტინს შეხვდა

თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი სოჭში ვლადიმერ პუტინს შეხვდა. მოლაპარაკების ძირითადი თემა იდლიბში შექმნილი მდგომარეობა იყო.

დიქტატორი ასადი იდლიბის შტურმისთვის ემზადება. ეს რაიონი სირიის შეიარაღებული ოპოზიციის უკანასკნელი სერიოზული დასაყრდენია. თურქეთს იდლიბში თავისი ინტერესები აქვს და ერდოღანიც შტურმის კატეგორიული წინააღმდეგია. მეტიც, თურქეთმა სირიის საზღვართან ტანკები გადაისროლა.

პუტინი და ერდოღანი შეთანხმდნენ, რომ იდლიბში სამხედრო ოპერაციები არ ჩატარდება. ამას გარდა, უნდა შეიქმნას დემილიტარიზებული ზონა, რომელიც ასადის არმიასა და შეიარაღებულ ოპოზიციას დააშორიშორებს.




# რუსეთი მაკედონიის რეფერენდუმში ერევა



მალე მაკედონიაში რეფერენდუმი ჩატარდება. მან უნდა განსაზღვროს, ამ ქვეყანას სახელი შეეცვლება თუ არა. ამის შემდეგ მაკედონიას ნატოსკენ გზა ეხსნება.

მეზობელი საბერძნეთი სახელწოდება მაკედონიას აპროტესტებს და ამ ქვეყნის ნატოში ინტეგრაციას ბლოკავს.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა მატისმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მოსკოვი მაკედონიის რეფერენდუმის ჩაშლას ცდილობს. მიმდინარეობს პრორუსული დაჯგუფებების მხარდაჭერა-დაფინანსება, რომლებიც მაკედონიის ნატოში შესვლას ეწინააღმდეგებიან.

– მოვუწოდებ რუსეთს, შეწყვიტოს დესტრუქციული ქმედებები, – თქვა მატისმა.

# თურქეთში ავტობუსი გადაბრუნდა — დაიღუპა 7, დაშავდა 28 ადამიანი

თურქეთის ცენტრალურ ნაწილში ავარიას სულ მცირე 7 ადამიანი ემსხვერპლა, 28 კი დაშავდა. ამის შესახებ ადგილობრივი მედია წერს.

შემთხვევა აფიონ-ყარაჰისარის პროვინციაში მოხდა. სამგზავრო ავტობუსი ჯერ დაუდგენელი მიზეზით გზიდან გადავიდა და გადაბრუნდა.



დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

მოამზადა
ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმის, „პახმელიის“, „ზაპოის“, აგრესიულობის მოხსნა რეალურად შესაძლებელია მცენარეული, უვნებელი, შედეგიანი საშუალებებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში თუნდაც ფარულად. ჩვენ შეუძლებელს შეგაძლებინებთ, სურვილია მთავარი. ვმკურნალობთ ალკოჰოლით დაზიანებულ ღვიძლს. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99. ექიმი-ფიტოთერაპევტი.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# აია და ლოკო უდანაკარგოდ ლიდერობენ



### აკადემია-აია 10:15

ქუთაისის აიამ მეორე ტაიმში თამაშის ბედის შემობრუნება მოახერხა და ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა. თბილისის აკადემიამ გასული სეზონის ვერცხლის პრიზიორს დიდი წინააღმდეგობა გაუწია და 70-ე წუთამდე ლიდერობდა, თუმცა საბოლოოდ მხოლოდ ბონუსს დასჯერდა და მიმდინარე ჩემპიონატში პირველი ქულა ჩაიწერა.

თამაშის ხარისხზე დიდი გავლენა იქონია ძლიერმა ქარმა. გარდა ამისა, შერკინებების მოწყობაში დიდი დრო იხარჯებოდა, რამაც სანახაობრივი მხარე დააზარალა.

ქუთაისელებმა მატჩის დებიუტში შეცდომა დაუშვეს და დავით მოძღვრიშვილმა ჯარიმით ანგარიში გახსნა. აიამ ბურთზე კონტროლი დაამყარა, ჯარიმის უფლება თავადაც მოიპოვა და მე-13 წუთზე თედო აბჟანდაძემ წონასწორობა აღადგინა.

25 წუთის შემდეგ აკადემიამ შეძლო მეტოქის ნახევარზე გადასვლა და შესვენებამდე დარჩენილი დრო შეტევებში გაატარა. ქუთაისელები ხშირად ჯარიმდებოდნენ და გიორგი აბრამიძე სინბინით დაკარგეს. თბილისელებმა შერკინება ირჩიეს და ეს ეპიზოდი 8 წუთი გაგრძელდა. მესამედ დაჯარიმების გამო რეფერიმ ყვითელი ბარათი ჟორჟ სალდაძესაც უჩვენა, რის შემდეგაც აკადემიამ ბურთი ხაზზე გაიტანა, 13-კაციან მეტოქესთან უპირატესობის შექმნა არ გასჭირვებია და საბა ილურიძემ ლელო გაიტანა, ხოლო მოძღვრიშვილმა ქარის საწინააღმდეგოდ რთული პოზიციიდან გარდასახა – 10:3.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა უპირატესობის გაზრდა ცენტრიდან სცადეს, მაგრამ ჯარიმიდან დარტყმული არაზუსტი იყო. შემდეგ აიამ შეუტია, ლაშა ლომიძემ ფეხით გადაკიდა, მას უსწრაფესი აბრამიძე მიყვა და ლელო გაიტანა, მაგრამ გარდასახვა არაზუსტი იყო და თბილისელებმა ლიდერობა შეინარჩუნეს.

აკადემიამ კიდევ ერთხელ სცადა ძალისმიერ სტილში ლელოს გატანა, მაგრამ აიამ თავი დაიცვა და დასკვნით წუთებში იერიშზე თავად გადავიდა. ამან შედეგი 70-ე წუთზე გამოიღო, ოთარ ძაგნიძე ლელოდან 2 მეტრში შეაჩერეს, მაგრამ გელა შალამბერიძეს ველარაფერი მოუხერხეს და აბჟანდაძემაც გარდასახა – 15:10 აიას სასარგებლოდ და ლოკომოტივთან ერთად ლიდერობს ჩემპიონატს.

### არმაზი-ლოკომოტივი 15:17

ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ჩემპიონმა თბილისის ლოკომოტივმაც. „შევარდენზე" მისი მეტოქე არმაზი იყო, თუმცა მარნეულელებმა ბოლო ჯარიმა ვერ გაიტანეს და მხოლოდ დაცვის ბონუსს დასჯერდნენ.

ისე მოხდა, რომ არმაზს სეზონის სტარტზე პრიზიორებთან მოუწიათ თამაში და ბრინჯაოს მედალოსან ჯიქთან გამარჯვება მოიპოვეს, ფინალისტთან და ჩემპიონთან კი ბონუსი აიღეს.

თამაში კარგი საყურებელი გამოდგა და ქომაგმა ლამაზი ლელოები იხილა. მთლიანობაში, მატჩის უმეტესი დრო ბურთს თბილისელები ფლობდნენ, მეტოქის ნახევარზეც მეტი დრო გაატარეს და 4 ქულა დამსახურებულად აიღეს.

პირველი ტაიმი არმაზმა 12:7 მოიგო, მეორეში კი ლოკომ გასვიანის ლელოთი და კავთიძის გარდასახვა-ჯარიმით უკვე ლოკომოტივი დაწინაურდა – 17:12.

არმაზი გააქტიურდა, ჯინჭველაშვილმა საპასუხო ჯარიმა გაიტანა, სულ ბოლოს კი დაახლოებით 47 მეტრიდან ცადა საკუთარი გუნდის დაწინაურება, მაგრამ მიზანმა უმტყუნა და ლოკომოტივმა გამარჯვებების სერია გააგრძელა...

### ლელო სარასენსი-ბათუმი 13:26

ბათუმმა თბილისის ლელო-სარასენსს მისსავე მოედანზე 26:13 მოუგო და მიმდინარე სეზონში პირველი მარცხი აგემა.

თამაში მასპინძლების შეტევებით დაიწყო და მალევე მერაბ კვირიკაშვილმა ჯარიმით ანგარიში გახსნა. მამუკა ნინიძემ ჯარიმითვე ტაიმის შუაში უპასუხა. კვირიკაშვილმა თავისიანები 26-ე წუთზე კიდევ ერთხელ დააწინაურა, თუმცა საპასუხო შეტევისას სანდრო მამამთავრიშვილი სახიფათო ბოჭვისთვის სინბინით დაისაჯა და ნინიძემ შორეული დარტყმით წონასწორობა მეორედ აღადგინა.

თამაშის განახლებისთანავე ლელოელებმა საკუთარ 22-ში შეცდომა დაუშვეს, ბათუმმა 5-მეტრიან შერკინებაში მეტოქეს უკან დაახევინა, ბურთი ხვიჩა ბუჯიაშვილმა აიტაცა და მატჩის პირველი ლელო გაიტანა, ხოლო ნინიძემ გარდასახა. ტაიმის ბოლო წუთზე სტუმრებმა ჯარიმა კარში აღარ დაარტყეს, შერკინებაში მოპოვებული უპირატესობით ისარგებლეს, საჯარიმო ლელო გამოიმუშავეს და 20:6 დაწინაურდნენ.

მეორე ტაიმის დასაწყისში ნინიძემ საშუალო დისტანციიდან ჯარიმით სტუმართა უპირატესობა 17 ქულამდე გაზარდა. ლელო-სარასენსმა 55-ე წუთზე მოახერხა საპასუხო ლელოს გატანა. სოსო მათიაშვილმა ფეხით შესანიშნავად ითამაშა, დიდი მანძილი მოიგო და საკუთარ გუნდს 5-მეტრიანთან დერეფნის აგდების უფლება მოუპოვა. რამდენიმე დარტყმის შემდეგ ნიკა სვიმონიშვილმა რაქიდან აიტაცა ბურთი და ძელებშუა გადადო, კვირიკაშვილმა კი გარდასახა და სხვაობა 10 ქულამდე შემცირდა.

თბილისელებმა წნეხი გააძლიერეს და მეტოქის 22-ში რამდენიმე წუთი გაატარეს, მაგრამ ქულის აღება ვერ მოახერხეს. სამაგიეროდ, ბათუმმა არ გაუშვა შანსი ხელიდან, მეტოქის ნახევარზე ჯარიმა მოიპოვა და ნინიძემ დარტყმა უნაკლოდ შეასრულა. ლელო-სარასენსი გარდატეხის შეტანას ცდილობდა, მაგრამ 70-ე წუთზე მამამთავრიშვილმა მეორე ყვითელი და შესაბამისად, წითელი ბარათი მიიღო. დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა, ბათუმმა მატჩი 26:13 მოიგო.

### ხარები-ჯიქი 30:6

რუსთავის ხარებმა შინ გორის ჯიქი 30:6 დაამარცხა, 4 უპასუხო ლელოს გატანისთვის ბონუსიც ჩაიწერა. ეს რუსთაველებისთვის ზედიზედ მეორე მოგებაა.

მასპინძლებმა პირველი 20 წუთი მაღალ დონეზე ჩაატარეს და პირველსავე წუთზე დაწინაურდნენ. გორელებმა ცენტრალურ ხაზთან ფეხით გადაკიდებული ბურთი ვერ აიღეს, დათო თაბუკაშვილმა ბოლო მცველი ცრუ მოძრაობით ჩამოიცილა და ლელომდე ირბინა. მას კარის წინიდან გარდასახვაც უნდა გაეტანა, მაგრამ დაუფარეს. სამაგიეროდ, მე-13 და მე-16 წუთებზე ჯარიმიდან არ შეცდა და ანგარიში 11:0 გახდა.

მეორე ჯარიმის დროს ნიკა სუხაშვილი სინბინითაც დაისაჯა, თუმცა კაცნაკლულმა ჯიქმა მოახერხა უპირატესობის მოპოვება და რამდენიმე ჯარიმა გამოიმუშავა. ირაკლი სვანიძეს პირველი დარტყმა გაუცუდდა, შემდეგ ორ ჯერზე ზუსტი იყო და სხვაობა 5 ქულამდე დავიდა. თუმცა, ეს იყო და ეს – ამის შემდეგ ქულებს მხოლოდ რუსთაველები აგროვებდნენ.

35-ე წუთზე თაბუკაშვილი მცველს გაექცა და მეორე ლელო გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში რუსთაველებმა 5-მეტრიანი დერეფნიდან მოლი ააგორეს და ირაკლი ნატრიაშვილის ლელო თაბუკაშვილმა გარდასახა. მომდევნო ნახევარი საათი გუნდებმა უქულოდ ითამაშეს, ბოლოს ხარებმა რამდენჯერმე შეძლო ხაზის გარღვევა და გაწითლებულ დროზე კობა ბუჯიაშვილმა მეოთხე ლელო გაიტანა, ხოლო ზურა ქავთარაძემ გარდასახა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 30:6.

### არმია-ვეფხვები 17:21

პატარძეულის ვეფხვებმა 14-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ ძალიან კარგი ნახევარი საათი ჩაატარეს, 3 ლელოთი და ერთი ჯარიმით 18 ქულა მოიპოვეს და ელიტაში პირველი გამარჯვება იზეიმეს. კახელებს ამისათვის სულ 3 თამაში დაჭირდათ. პატარძეულელებმა ბოლომდე იბრძოლეს, მეტოქეს სწრაფი, გაშლილი თამაში შესთავაზეს და დრამატული მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

არმია მასპინძელი იყო და ანგარიში მე-7 წუთზე გახსნა – მერკვილიშვილმა ლელო გაიტანა, ხოლო კობახიძემ გარდასახა. სტუმრებმა შორეული ჯარიმით მე-10 წუთზე უპასუხეს. 30-ე წუთზე პატარძეულელი ლაფერიშვილი სინბინით დაისაჯა და კობახიძემაც 35 მეტრიდან გაიტანა.

მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე არმიამ თავის ნახევარზე გაშალა ბურთი, კალმახელიძემ მარჯვენა ფრთაზე უპირატესობა შექმნა, გორგასლიძე მცველს სისწრაფეში გასცდა და მისი ლელო კობახიძემ გარდასახა – 17:3.

კახელები მოვლენების ასეთ განვითარებას არ შეეგუენ, ტემპს უმატეს, წნეხი გააძლიერეს და ამან შედეგი 58-ე წუთზე გამოიღო: მამულაშვილი მბოჭავს გასცდა და ლელო გაიტანა. მალე არმიელები მოედანზე 10 წუთით კაცნაკლულები დარჩნენ, სტუმრებმა ამით ისარგებლეს და 65-ე წუთზე შალიკაშვილმა, ხოლო 70-ზე ლეგაშვილმა ლელოები გაიტანეს. გარდასახვები არაზუსტი იყო და ვეფხვები ქულით დაწინაურდა – 18:17. გურგენიძის ჯარიმის შემდეგ სხვაობა 4 ქულამდე გაიზარდა და არმის მხოლოდ ლელო სჭირდებოდა, რასათანაც ახლოს იყო. ლაზარიშვილმა მარჯვენა ფრთიდან სტუმართა ლელოში შეაღწია, მაგრამ მანამდე ფეხი გვერდით ხაზს იქით გადადგა და ვეფხვებმაც ისტორიული გამარჯვება გაიფორმა – 21:17.

## შედეგები

**17 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

საუთჰემპტონი-ბრაიტონი ............. 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 5 | 5 | 0 | 0 | 14-4 | 15 |
| 2.ლივერპული | 5 | 5 | 0 | 0 | 11-2 | 15 |
| 3.სიტი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-3 | 13 |
| 4.უოტფორდი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-5 | 12 |
| 5.ბორნმუთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-7 | 10 |
| 6.ტოტენჰემი | 5 | 3 | 0 | 2 | 10-6 | 9 |
| 7.არსენალი | 5 | 3 | 0 | 2 | 10-9 | 9 |
| 8.მანჩესტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-8 | 9 |
| 9.ვულვზი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-5 | 8 |
| 10.ევერტონი | 5 | 1 | 3 | 1 | 8-9 | 6 |
| 11.ლესტერი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-9 | 6 |
| 12.კრ.პალასი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-6 | 6 |
| 13.საუთჰემპტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-6 | 5 |
| 14.ბრაიტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-9 | 5 |
| 15.ფულემი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-12 | 4 |
| 16.ვესტ ჰემი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-11 | 3 |
| 17.კარდიფი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-9 | 2 |
| 18.ჰადერსფილდი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-11 | 2 |
| 19.ნიუკასლი | 5 | 0 | 1 | 4 | 4-8 | 1 |
| 20.ბარნლი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-10 | 1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხირონა-სელტა ................................ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 14-3 | 12 |
| 2.რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| 3.ალავესი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-4 | 7 |
| 4.სელტა | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 5.ესპანიოლი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 6.ხეტაფე | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 7.ხირონა | 4 | 2 | 1 | 1 | 5-6 | 7 |
| 8.ბილბაო | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| 9.ატლეტიკო | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 10.ბეტისი | 4 | 1 | 2 | 1 | 1-3 | 5 |
| 11.უესკა | 4 | 1 | 1 | 2 | 6-12 | 4 |
| 12.სოსიედადი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 13.ეიბარი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14.სევილია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 15.ვილიარეალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 16.ლევანტე | 4 | 1 | 1 | 2 | 6-5 | 4 |
| 17.ვალენსია | 4 | 0 | 3 | 1 | 3-5 | 3 |
| 18.რაიო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 19.ვალიადოლიდი | 4 | 0 | 2 | 2 | 0-2 | 2 |
| 20.ლევანტე | 4 | 0 | 1 | 3 | 4-9 | 1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალბასეტე-კადისი ......................... 1;1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

მაგდებურგი-არმინია .................... 0:0

**იტალია. სერია ა**

სპალი-ატალანტა .......................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-4 | 12 |
| 2.სპალი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-1 | 9 |
| 3.ნაპოლი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-6 | 9 |
| 4.სასუოლო | 4 | 2 | 1 | 1 | 9-7 | 7 |
| 5.სამპდორია | 3 | 2 | 0 | 1 | 8-1 | 6 |
| 6.ფიორენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 7-2 | 6 |
| 7.ჯენოა | 3 | 2 | 0 | 1 | 6-6 | 6 |
| 8.ლაციო | 4 | 2 | 0 | 2 | 3-4 | 6 |
| 9.რომა | 4 | 1 | 2 | 1 | 7-7 | 5 |
| 10.უდინეზე | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 11.ტორინო | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 12.კალიარი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 13.პარმა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 14.ატალანტა | 4 | 1 | 1 | 2 | 7-6 | 4 |
| 15.მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 16.ემპოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-3 | 4 |
| 17.ინტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-4 | 4 |
| 18.ბოლონია | 4 | 0 | 1 | 3 | 0-5 | 1 |
| 19.ფროზინონე | 4 | 0 | 1 | 3 | 0-10 | 1 |
| 20.კიევო | 4 | 0 | 2 | 2 | 5-11 | -1 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**იტალია. სერია ბ**

ლივორნო-კროტონე ...................... 0:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ბეზიე-მეცი .................................... 1:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-როსტოვი .......................... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

არისი-ლევადიაკოსი ...................... 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-ტრაბზონი ......................... 1:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-სპარტა .............................. 0:1

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

სოსნოვიცე-გურნიკი ...................... 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-ვეილე ........................... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-დალკურდი ...................... 0:0
სირიუსი-ჰამარბი .......................... 1:1
ჰაკენი-ტრელებორგი ...................... 2:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

მიოლდე-კრისტიანსუნდი ............... 3:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-ილვესი ................................ 1:2
ლახტი-ჰიკი ................................... 0:2
როვანიემი-კუუპიო ......................... 1:1
ტპს-ინტერი ................................... 1:0
ჰონკა-კემი .................................... 2:1
მარიეჰამნი-სეინეიოკი .................. 1:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სტოილოვი შეცდომას აღიარებს და საქართველოს წაფორხილებაზე ოცნებობს




ერთა ლიგაზე საქართველოს ნაკრების მეტოქის, ყაზახეთის ნაკრების მწვრთნელმა სტანიმირ სტოილოვმა ადგილობრივ მედიასთან ვრცელ ინტერვიუში განაცხადა, რომ მის გუნდს ერთა ლიგის ჯგუფიდან გასვლის მცირე შანსიღა დარჩა. იმ სტარტის შემდეგ, რომელიც ყაზახებს ერთა ლიგაზე ჰქონდათ, ეს გასაკვირიც არ არის, რადგან გუნდმა ჯერ შინ წააგო (0:2) საქართველოსთან, შემდეგ კი სტუმრად ფრე (1;1) ითამაშა ანდორასთან.

მოკლე ამონარიდები სტოილოვის ინტერვიუდან:

– საქართველოსთან შეცდომები დავუშვი. მე და ჩემმა თანაშემწეებმა ვერ გავითვალისწინეთ ყაზახი ფეხბურთელების სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა. საქართველოსთან პირველ ნომრად თამაში ვარჩიეთ და გაგვიჭირდა. შეტევაზე თამაშს ფეხბურთელების კარგ კონდიციებში ყოფნა სჭირდებოდა. მთავარი მატჩი საქართველოსთან იყო, ანდორასთან ფრეზე კი საუბარიც არ მინდა. შანსი? გულწრფელად რომ ვთქვა, პირველ ადგილზე გასვლა ძალიან რთული იქნება. იმედია, ჩემი ფეხბურთელები დარჩენილი მატჩების მნიშვნელობას გაითავისებენ. უბრალოდ, საქართველოს წაფორხილებას უნდა დავუცადოთ. შესაძლოა, მათ ქულები დაკარგონ.

# ბექჰემი მესის საკუთარ გუნდში ეპატიჟება



ლეგენდარულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა ამერიკაში ახალი საფეხბურთო კლუბი დააარსა, რომელსაც მაიამის ინტერი უწოდა. ამ ფაქტმა პირველ რიგში მილანის ფანების გულისწყრომა გამოიწვია, რადგან ბექჰემის ინტერის მოსისხლე გუნდს მილანში აქვს ნათამაშები და ეს ნაბიჯი შეცდომად ჩაუთვალეს.

ამერიკული ლიგის ხელმძღვანელობა გეგმავს, რომ ბექჰემის კლუბი გათამაშებაში ჩართოს, თუმცა ჯერჯერობით ზუსტი თარიღი უცნობია. სავარაუდოდ, ეს 2020 წელს მოხდება.

აქვე გაჩნდა მეორე ინფორმაცია, რომელიც ვის გულშემატკივრებს აწყენინებს, ვერ გეტყვით... გავრცელებული ცნობით, ბექჰემი თავის გუნდში ლეო მესის მიწვევას გეგმავს.

მესის გამოსასყიდი თანხა 700 მილიონი ევროა და ხელშეკრულება 2021 წლამდეა გაფორმებული.

ბექჰემი გეგმავს, რომ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე 1 წლით ადრე მესი, რომელიც იმ დროს 33 წლის იქნება, მლს-ში გადასვლაში დაარწმუნოს.

რთული სათქმელია, რამდენად გაამართლებს დევიდ ბექჰემის გეგმა, რადგან მესის არაერთხელ უთქვამს, რომ ის კარიერის „კამპ ნოუზე" დასრულებას აპირებს და, თუ ოდესმე სხვა გუნდის მაისურით ითამაშებს, ეს მხოლოდ თავისი მშობლიური ქალაქის, როსარიოს, შემადგენლობაში იქნება.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ატლეტიკოს ფრანგმა შემტევმა, ანტუან გრიზმანმა, აღნიშნა, რომ კარიერის დასრულებას მლს-ში გეგმავს და დევიდ ბექჰემის გუნდში თამაშის წინააღმდეგი არ არის.

# ანდერ ერერა: „რონალდუს მანჩესტერში და პოგბას ტურინში დაბრუნება საინტერესო იქნება“

დღეს მანჩესტერ იუნაიტედი ლიგაზე ბრუნდება და სტუმრად შვეიცარიულ იანგ ბოიზს ეთამაშება. ჯგუფი კი ძალიან საინტერესოა – იუვენტუსი, მანჩესტერი, ვალენსია, იანგ ბოიზი.

იუნაიტედის ესპანელმა ნახევარმცველმა ანდერ ერერამ ბრიტანელ ჟურნალისტებთან კლუბის მომავალ მატჩებზე ისაუბრა და მიმოიხილა ის გუნდები, რომლებსაც იუნაიტედი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე უნდა შეხვდეს.




**ანდერ ერერა:**

– დიდი გამოწვევაა იმ გუნდებთან თამაში, რომლებიც ჯგუფში გვყავს, თუმცა მე ამით ბედნიერი ვარ, რადგან მგონია, რომ დიდი კლუბების წინააღმდეგ უკეთესად ვასპარეზობთ. იუვენტუსი იტალიის უდიდესი გუნდია. ისინი საგრძნობლად გაძლიერდნენ ბოლო რამდენიმე წელია და ძალიან კარგად გამოიყურებიან – ურთიერთდამოკიდებულება ფეხბურთელებს, მწვრთნელსა და ფანებს შორის შეუდარებელია. საკმაოდ საინტერესო იქნება პოლ პოგბას დაბრუნება ტურინში და ასევე კრიშტიანუს დაბრუნება „ოლდ ტრაფორდზე“. ვფიქრობ, რომ ორივე თამაში დიდებული იქნება.

***– ეს იქნება რონალდუს მეორედ დაბრუნება „ოლდ ტრაფორდზე“.***

– როდესაც კრიშტიანუ მადრიდის რეალის მაისურით დაბრუნდა „ოლდ ტრაფორდზე“, ყველამ ვნახეთ, რომ ის ფანებს ისევ უყვართ. რაც მან იუნაიტედის მაისურით გააკეთა, ნამდვილად დაუვიწყარია და ფანებიც სწორედ ასე ფიქრობენ. ასევე განსაკუთრებული იქნება მატჩი იტალიაში პოლ პოგბასთვის. ტურინში ჩასვლისას ის ბავშვი იყო და ინგლისში დაბრუნებისას ნამდვილად კაცი გახლდათ, პოგბაც ძალიან უყვართ იტალიელ ფანებს. ასე, რომ ძალიან ემოციური მატჩები იქნება და მთლიანად უნდა ვფოკუსირდეთ მოგებაზე.

***– ჯგუფის ფავორიტი იუვენტუსია? ისინი ბოლო წლებია, ფინალში გადიან.***

– თანამედროვეობაში იტალიური ფეხბურთი აღარ ნიშნავს მხოლოდ კარგ დაცვას, გადავხედოთ ტურინელთა შეტევას და ამას მალევე მივხვდებით. ვფიქრობ ძალიან დაბალანსებული გუნდია, ძალიან ძლიერი ფეხბურთელებით ნებისმიერ პოზიციაზე და კრიშტიანუ, ის ცალკე თავის ტკივილია. იუვენტუსი წარმოუდგენლად ძლიერი კლუბია, აბსოლუტურად ყველა პოზიციაზე.

***– მანჩესტერის კონკურენტი ჯგუფიდან გასვლაზე ვალენსია იქნება?***

– ვფიქრობ, ვალენსია ისევ ის ვალენსიაა, რომელსაც წარსულიდან ყველა ვიცნობთ, როგორც ძალიან ძლიერ გუნდს. მე ვიცნობ მათ ფილოსოფიას და ისინი არასოდეს ნებდებიან. აშენებენ საკმაოდ ძლიერ გუნდს და მათ ტაქტიკა 4-4-2 საკმაოდ კარგად აქვთ დამუშავებული, 2 საკმაოდ მობილური ფორვარდით წინ. მათი მოგერიება ნამდვილი გმირობა იქნება მცველების მხრიდან. ნამდვილად არ გველის იოლი ბრძოლა მათთან.

***– „მესტალიას“ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება?***

– „ღამურების“ საშინაო არენა დიდებული რამაა. წინა წლებში, როდესაც გუნდი არც ისე კარგ თამაშს აჩვენებდა, საკმაოდ რთული ურთიერთობა ჰქონდათ ფეხბურთელებსა და ფანებს, ნამდვილი დრამის ადგილი იყო „მესტალია“, თუმცა ბოლო პერიოდში გუნდმა ნამდვილი სახე დაიბრუნა და მის ადგილს დაუბრუნდა ესპანურ ფეხბურთში. დღესდღეობით როდესაც საშინაო კედლებში ბარსელონას ან რეალს მასპინძლობენ, მათაც უჭირთ ქულის აღებაც კი. ეს ნიშნავს, რომ ისინი თავს მაქსიმალურად კომფორტულად გრძნობენ საკუთარ კედლებში.

***– დასაკარგი არც იანგ ბოიზს აქვს რამე. ისინიც აპირებენ ბრძოლაში ჩართვას.***

– ეს არის გუნდი, რომელსაც რეალურად არაფერი აქვს დასაკარგი. ისინი 3 უდიდეს გუნდთან ერთად მოხვდნენ ჯგუფში. ეს არის ძალიან ახალგაზრდა გუნდი ტურნირზე, ისეთივე, როგორც მაგალითად ბაზელი. ასე, რომ მათ გააჩნიათ უკომპლექსოდ თამაშის ფუფუნება, რაც ნამდვილად საშიში რამაა სხვა გუნდებისთვის და გვავნებს, თუ შესაბამის ზომებს არ მივიღებთ, სწორად არ შევაფასებთ მეტოქეს. თუ არ ვცდები, მათი სტადიონის მინდორი ხელოვნურია და მოგვიწევს ამასთან შესაბამისად ადაპტირება, მათგან განსხვავებით.

***– საინტერესო ჯგუფია თუ რთული?***

– საკმაოდ საინტერესო ჯგუფია და ასევე – რთულიც. ვფიქრობ, ნამდვილად ღირს იმ სიამოვნებისთვის ცხოვრებას, რასაც ჩემპიონთა ლიგაზე თამაში ჰქვია. ესპანეთში მოგვიწევს ღამით თამაში და ვფიქრობ, რომ ეს კიდევ უფრო მეტ ხიბლს სძენს ფეხბურთს, ვიტყოდი, რომ ეს მეტად რომანტიულია. თუ გვინდა, რომ ჯგუფიდან გავიდეთ, და ეს ნამდვილად გვინდა, პირველ რიგში უნდა გადავლახოთ იანგ ბოიზის ბარიერი. ჩვენ ჯერ არ ვფიქრობთ იუვეზე და ვალენსიაზე. პირველ რიგში, 3 ქულა უნდა მოვიპოვოთ შვეიცარიაში და ამის შემდეგ გადავერთოთ მომდევნო თამაშზე, ვგულისხმობ, რომ მთლიანად უნდა ვკონცენტრირდეთ კონკრეტულ მატჩებზე. არ ღირს მეტოქის დაუფასებლობა და რამე გზით ძალების დაზოგვა შემდეგი მატჩებისთვის.

# შაკილ ონილმა თანამედროვე კალათბურთი გალანძღა




46 წლის ლეგენდარულმა შაკილ ონილმა მედიასთან საუბარში თანამედროვე კალათბურთი გააკრიტიკა და მოთამაშეთა პრობლემებზე ისაუბრა.

შაკის თქმით, მას რომ დღეს ეთამაშა, ყოველ შეხვედრაში 50 ქულას ჩააგდებდა.

**შაკილ ონილი:**

– მე რომ დღეს მეთამაშა, ყველა შეხვედრაში 50 ქულას ჩავაგდებდი, თან ისე, რომ საჯარიმოების სროლა საერთოდ არ დამჭირდებოდა. დიახ, 50 ქულას ჩავაგდებდი, რადგან დღევანდელი კალათბურთელები ფიზიკურად ძლიერ კალათბურთს არ თამაშობენ, მათ მხოლოდ წუწუნი და ტირილი იციან. ყველას თავის ადგილას მოვსვამდი. დღეს თამაშის შემთხვევაში სამქულიანებს არ ვისროდი, რადგან ეს „დიდი ბიჭების“ სტილი არ არის. მათ ნაკლებად უნდა იწუწუნონ და დაცვას მეტი დრო დაუთმონ. შენ 3 ან 4 ჯარიმით ვერ შემაჩერებ, ასეთი თამაშით მე შენ ყოველთვის დაგსჯი. პერიმეტრიდან მსროლელი ოპონენტების წინააღმდეგ ბევრი შეხვედრა ნამდვილად არ წამიგია, მაგრამ სამწამიანში გამართულ ყველა დაპირისპირებაში გამარჯვებული გამოვედი.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მეტისმეტად ღორმუცელა სპორტსმენს რესტორანში სიარული აუკრძალეს



გერმანულმა რესტორანმა, რომელიც მომხმარებლებს შეუზღუდავი რაოდენობის კერძების ჭამას სთავაზობს, მოყვარულ ტრიატლონისტ იაროსლავ ბობროვსკის დაწესებულებაში შესვლა აუკრძალა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცმა ერთ ჯერზე 100 ცალი სუში შეჭამა და მზარეულები გააოგნა.

ინციდენტი იაპონური სამზარეულოს რესტორანში მოხდა, რომელიც ბავარიის ფედერალური მიწის ქალაქ ლანდსხუტში მდებარეობს. 30 წლის ბობროვსკი რესტორანში მივიდა, 15,9 ევრო გადაიხადა სუში ბარის ულიმიტო ბილეთში და ასი პორცია კერძი შეჭამა.

როდესაც მან სადილობა დაასრულა, სალაროსთან მივიდა, რათა ოფიციალური ჯიბის ფული დაეტოვებინა. იქ ფულის აღებაზე უარი განუცხადეს, მასთან რესტორნის მფლობელი და შეფმზარეული გამოვიდნენ და განუცხადეს, რომ მათ დაწესებულებაში აღარასოდეს დაბრუნებულიყო.

– ის ხუთი კაცის სამყოფს ჭამს, ეს არანორმალურია, – აღნიშნა რესტორნის მფლობელმა ჟურნალისტებთან საუბარში.

# შვეიცარიის სოფლის მცხოვრებლებს ექსპერიმენტის სახით ფულს დაურიგებენ

რეჟისორმა რებეკა პანიანმა გადაწყვიტა უჩვეულო ექსპერიმენტი ჩაატაროს და შვეიცარიის სოფელ რეინაუს მცხოვრებლებს ყოველთვიურად 2,5 ათასი ფრანკი (2215 ევრო) გადაუხადოს.

დაგეგმილია, რომ ციურიხის კანტონის სოფლის მცხოვრებლები, რომელთა რაოდენობა 1300 ადამიანია, უპირობო საბაზო შემოსავალს მიიღებენ. ექსპერიმენტში თანხმობა 848 მოსახლემ განაცხადა.

აღსანიშნავია, რომ თანხას მიიღებს მხოლოდ ის პიროვნება, რომლის შემოსავალი საბაზო შემოსავალზე ნაკლები იქნება. 2,5 ათასი ფრანკი შვეიცარიელთა საშუალო ხელფასის დაახლოებით 60 პროცენტს შეადგენს.

ამ ექსპერიმენტით მკვლევარებს სურთ შეისწავლონ ადამიანის ქცევა – ახდენს თუ არა საბაზო შემოსავალი სამუშაოს მოძიების სტიმულირებას.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 19 სექტემბრისათვის



**ვერძი** – ისეთი განცდა გაქვთ, რომ სამსახურში თქვენი შრომა სათანადოდ არ ფასდება. დაფიქრდით, სად დაუშვით შეცდომა და მის გამოსწორებაზე იზრუნეთ. **კურო** – ნებისმიერ სიტუაციაში ვარსკვლავები გმფარველობენ. აკონტროლეთ ემოციები. **ტყუპები** – მიწაზე დაეშვით. დღეს აუცილებელია ყურადღების მაქსიმალური კონცენტრირება. **კირჩხიბი** – კოლეგებთან ურთიერთობა საკმაოდ დაძაბულია. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და სიტუაციას ნუ გაამწვავებთ. **ლომი** – გარშემომყოფები თქვენგან მაქსიმუმს მოითხოვენ. საქმე პრიორიტეტების მიხედვით აკეთეთ. **ქალწული** – ყოველგვარი წამოწყება გაამართლებს. პლანეტები გმფარველობენ. **სასწორი** – იყავით უფრო გულისხმიერი და ლმობიერი. გაეცალეთ კონფლიქტურ ადამიანებს. **ღრიანკალი** – წარმატების მიღწევაში მხოლოდ კეთილსინდისიერი შრომა და პასუხისმგებლობის გრძნობა დაგეხმარებათ. ერიდეთ ხალხმრავლობას. **მშვილდოსანი** – კარიერაში ცვლილებებია მოსალოდნელი. შესაძლოა თქვენთვის საინტერესო საქმიანობის სფეროს მიაგნოთ. **თხის რქა** – ახლობლებს დახმარებასა და რჩევაზე უარს ნუ ეტყვით. მიხედეთ ასევე პირად ცხოვრებას. **მერწყული** – საკმაოდ შრომატევადი და რთული დღეა. რამდენიმე საქმის ერთბაშად კეთება დაგქანცავთ. **თევზები** – იყავით პრინციპული, დაპირება აუცილებლად შეასრულეთ, სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 2. კანიონი ხონის რაიონში; 3. აფრიკული გიგანტური ხე; 4. კანადელი ესკიმოსების ყინულის ქოხი; 5. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 6. სასამართლო განაჩენის გასაჩივრება; 9. მკურნალობა სისხლის გადასხმით; 10. მარიონეტების ქართული თეატრის ფუძემდებელი; 11. პირველი კოსმონავტი ქალი; 14. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 16. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის ნაწილი; 18. შუამავალი ბირჟაზე; 20. ქართული ხალხური საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 23. უბანი თბილისში; 24. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 25. პირველი ახლად მოსული თოვლი; 26. საფრანგეთის კოსმოდრომი სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად**: 7. აჭარული ცეკვა; 8. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 12. შოკოლადის ხე; 13. საავტომობილო შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 15. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 17. საფოსტო გზავნილი; 19. ევროპა-აზიის გამყოფი ქედი; 21. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 22. მტაცებელი ფრინველი; 27. ნახატის, წარწერის ამოკვეთა ლითონზე, ხეზე ან ქვაზე; 28. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სეიმი; 2. სტელა; 3. ანორაკი; 4. კობე; 5. წეკო; 6. სტაიერი; 9. საკანდელიძე; 10. აშპაშხანა; 11. შუშაბანდი; 14. პუდრი; 16. ჩეიზი; 18. სეინერი; 20. მარტინი; 23. აუდი; 24. სარკე; 25. სტეპი; 26. ბოტი.

**თარაზულად:** 7. ონტოლოგია; 8. რეზერვატი; 12. მარში; 13. მურიე; 15. ჭვავი; 17. დივიდენდი; 19. მალტა; 21. ლიანა; 22. ოდერი; 27. ტრუბადური; 28. პენტაგონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კელარი; 2. თორი; 3. პაციფისტი; 4. განდი; 5. თეორემა; 8. დუქანი; 9. სეიდებადი; 12. „ჰენესი“; 14. მაკეტი; 16. „ალილო“.

**თარაზულად:** 1. კარტოთეკა; 6. ნადირაძე; 7. ლინდერი; 9. სტრიტი; 10. ბიზე; 11. გახარია; 13. სამოა; 15. ბეკინა; 17. „სირტაკი“; 18. ველენი; 19. ნისტრუ; 20. ტონიაცი.

# პოეტმა ზვიად რატიანმა საქართველო დატოვა



პოეტი ზვიად რატიანი საქართველოდან წავიდა. იგი მას შემდეგ მოექცა ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, რაც პოლიციელებმა დააკავეს და სცემეს. პოეტს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს კოლეგებმა და მომხდარი ფაქტი საჯაროდ დაგმეს.

ზვიად რატიანმა საქართველოდან უცხოეთში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო და თავის მეგობრებს, უახლოეს ადამიანებს და მკითხველებს 2002 წელს დაწერილი ლექსით დაემშვიდობა, სადაც ასეთი სიტყვებია: შენ ერთადერთი გევალება: ხელის დაქნევა წარსულისათვის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# „თქვენი კუთვნილი განძის ფასი არ იცით“



ცნობილი პერუელი კინოდოკუმენტალისტი რაფაელ ანტონიო გალუეს გარსია საქართველოში დისქავერისთვის ფილმის გადაღებების დროს მოხვდა.

ჩვენი ქვეყნის ენით, სიმღერით, ცეკვით თუ ფრესკებით აღტაცებულმა სტუმარმა საქართველო ასე შეაფასა:

– იქნებ ახალს არაფერს გეუბნებით, იქნებ ამგვარი აღტაცება სხვა უცხოელებისგანაც მოგისმენიათ, მაინც უნდა გითხრათ ის, რაც მომწონს.

იმასაც დავძენ, თქვენი კუთვნილი განძის ფასი არ იცით, არ უფრთხილდებით იმას, რაც მარტო თქვენ გაქვთ.

აქ, თქვენთან, ყველა კუთხეში თავისებურია ქართული სუფრა, სვანეთში განსაკუთრებულად მოვიხიბლე. თითქმის ხელუხლებად აქვთ ტრადიციები შემონახული, თუმცა, ცივილიზაციის გავლენა იქაც იგრძნობა და ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს გენიალურ ფერწერულ ტილოს რაღაც მიაჯღაბნა უხეირო მხატვარმა. სვანურ სუფრასთან ერთი ბიჭი ამბობდა სადღეგრძელოს. მე მლოცავდა, არც ერთი სიტყვა არ მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი ბგერების ძალას. ისინი იმ ბიჭის გულიდან მოდიოდნენ. მის თვალებში კი ვნახე ჩემი სახე, როგორიც არასდროს მინახავს სარკეში...

ჩემს სამშობლოში, პერუში, თითქოს სიყვარული და მეგობრობა არა მხოლოდ გრძნობის, არამედ სიტყვის მნიშვნელობითაც გაცვდა. აქ კი სიყვარული და მეგობრობა მთელი ძალით ვიგრძენი. აქ ოჯახის ძალას, მნიშვნელობას, დედის და მამის ფასს მივხვდი. დამიჯერეთ, რაც აქ ვარ, ჩემში რაღაც ხდება, თითქოს გული მთლიანად გადამისხვაფერდა. ასე მგონია, ვალდებული ვარ, რასაც მე ვგრძნობ და განვიცდი, სხვებსაც აუცილებლად უნდა გადავცე საქართველოს გარეთ.

აქ ვივიწყებ ყველაფერს, რაც ოდესმე არ მომწონდა, მტკიოდა. ასე მგონია, სამყაროც კი არ არსებობდა საქართველოში ჩამოსვლამდე. დავდივარ ზოგჯერ მარტო, წვერმოშვებული, მოხეტიალე მოგზაურივით ჩაცმული, არ მაწუხებს ჩემი გარეგნული იერი, რადგან ამერიკისგან განსხვავებით, აქ უმეტესად ისეთ ხალხს ვხვდები, ვისაც ჩემი ჩაცმულობა და იერი კი არა, ღვინოსავით და თაფლივით ტკბილი და ნატურალური სიყვარული აინტერესებს... ერთს ხელს აუწევ, უცხო აქცენტით ეტყვი გამარჯობას, ჯერ ფარული ეჭვით შეგათვალიერებენ და თუ სამტროს ვერაფერს შეგამჩნევენ, თან გადაგყვებიან.

თუმცა, აქაურ ახალგაზრდებსაც უცხოური ცხოვრება უფრო ხიბლავთ, მაგრამ მერწმუნეთ, იქ, თქვენგან შორს, შინაარსი აღარაფერში დევს, ყველაფერი ზედაპირულად ეფექტურია. მიუხედავად იმისა, რომ აქაც არის შემოსული დასავლური კულტურა, ცხოვრების ამერიკული სტილი, საბედნიეროდ, ბევრს ჯერ კიდევ არ ავიწყდება, ვინ არიან, საიდან მოდიან, რისი პატრონები არიან...

იმათ კი, ვინც ახლაღა გაიტაცა უცხოურმა ყოფამ, ვურჩევ, შეინარჩუნოს ის უდიდესი განძი, რაც ჯერ კიდევ გაგაჩნიათ. აქაური მიწა თქვენი უძველესი მიწაა, აქაური ბებერი ხეების ჩრდილში თქვენი წინაპრები ისვენებდნენ. ეს ენა, ეს სიმღერა, ცეკვა, ფრესკები თქვენია, ამერიკაში კი ამ ყველაფერს იგონებენ. ერს ხელოვნურად ქმნიან, ანუ იქით მიდიან, რაც, თქვენ ათასწლეულების მანძილზე შექმენით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# გამოუცდელმა ექიმმა პაციენტი ხელის ამპუტაციამდე მიიყვანა



საკრუიზო ხომალდის Norwegian Breakaway-ს მფლობელს სამ მილიონ დოლარზე მეტი ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს ყოფილი თანამშრომლისთვის, რომელმაც გემის ექიმის გამო ხელი დაკარგა.

30 წლის სერბი ილია ლონჩარი Norwegian Breakaway-ზე ოფიციანტად მუშაობდა. მორიგი ცურვის დროს მას სულის ხუთვა დაეწყო და გრიპის სიმპტომები გამოუვლინდა. მან ექიმ სებასტიან კამპუზანოს მიმართა, რომელიც გემზე სულ რამდენიმე თვის მისული იყო და საკმარისი გამოცდილება არ გააჩნდა.

კამპუზანოს მითითებით მედძმამ ოფიციანტს შიდავენური ინექცია პრომეტაზინი გაუკეთა, საშუალება, რომელიც ალერგიული დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. ლონჩარმა მაშინვე წვა იგრძნო მარჯვენა ხელში, რომელიც ძლიერ ტკივილებში გადაიზარდა, ხელი ჯერ გაულურჯდა, შემდეგ გაუშავდა. 20 საათის შემდეგ ის ფლორიდაში კანავერალის პორტში გადმოსვეს, რამდენიმე დღის შემდეგ კი საავადმყოფოში ხელის ამპუტაცია გაუკეთდა.

ამპუტაცია იმის გამო გახდა აუცილებელი, რომ წამლის დიდი დოზა გაკეთებული იყო ვენაში და არა კუნთში. ხელის გადარჩენა შესაძლებელი იქნებოდა, ექიმს დაუყოვნებლივ რომ გაეკეთებინა ოპერაცია, ან მისი შვეულმფრენით ევაკუაცია განეხორციელებინა, მან კი არც ერთი გააკეთა და არც მეორე.

საერთაშორისო ცენტრის ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციის მოსამართლემ ამერიკულ-ბერმუნდული კომპანია Norwegian Cruise Line, რომელსაც ეკუთვნის ხომალდი, დაავალდებულა ლონჩარს ზარალის ასანაზღაურებლად 3,3 მილიონი დოლარი გადაუხადოს, ასევე აანაზღაუროს სასამართლოს და მოსარჩელის იურისტის ხარჯები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შეყვარებულმა ბორტგამცილებელს სამსახური დააკარგვინა



ჩინელი ბორტგამცილებელი სამსახურიდან მას შემდეგ დაითხოვეს, როდესაც შეყვარებულის მიერ თვითმფრინავში ეფექტურად გაკეთებული ხელის თხოვნის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელებში გავრცელდა და საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფრენის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცი ბორტგამცილებლის წინ მუხლებზე დადგა და ხელი სთხოვა. ამ რომანტიულმა საქციელმა მგზავრების დიდი ინტერესი გამოიწვია. რამდენიმე მათგანი თავიანთი ადგილებიდან წამოდგა, რათა ეს ყოველივე მობილურების დახმარებით აღებეჭდათ. ბორტგამცილებელმა ახალგაზრდა მამაკაცის წინადადება მიიღო, რასაც მგზავრები აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

ავიაკომპანია China Eastern Airlines-ის ხელმძღვანელობამ საკუთარი თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ბორტგამცილებლისა და მისი შეყვარებულის საქციელმა თვითმფრინავის სალონში უწესრიგობა გამოიწვია. გოგონას ბრალად დასდეს მგზავრების უსაფრთხოების დაცვის უგულებელყოფა.

გოგონამ განაცხადა, რომ არაფერი იცოდა შეყვარებულის გეგმის თაობაზე. ისინი ერთმანეთს ოთხი წლის მანძილზე ხვდებოდნენ.

# სამგლოვიარო განცხადებები

ტელეკომუნიკაციის კომპანიების „ახალი ქსელების“, „ახტელის“, „სისტემნეტის“ და „ფოპტნეტის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკი, ნამდვილი ვეტერანი

## შოთა კოლელიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

წავიდა ჩვენგან სატელეკომუნიკაციო სივრცისა და ძველი კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი და ნამდვილი ვეტერანი, უღალატო და უანგარო ადამიანი, ბატონი

## შოთა კოლელიშვილი

აღსანიშნავი და დასაფასებელია სატელეკომუნიკაციო სფეროში მისი 70-წლიანი მოღვაწეობის პერიოდი, მათ შორის, მრავალი წლის მანძილზე ისეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, როგორიცაა ქვეყნის დედაქალაქის სატელეფონო ქსელის ტექნიკური ექსპლუატაციის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა.

ასევე უდიდესია ბატონი შოთა კოლელიშვილის წვლილი შპს „ახალი ქსელებისა“ და შპს „ახტელის“ (დაარსების დღიდან) მიერ განხორციელებული სატელეკომუნიკაციო ქსელის მოდერნიზაციისა და განვითარების პროექტების წარმატებულ რეალიზაციაში. ყველას, ვისაც მის გვერდით უმუშავია, კარგად ახსოვს მისი დაუღალავი შრომა და საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა.

ბატონი შოთას პროფესიონალიზმს ამშვენებდა მისი პირადი ადამიანური თვისებები – იგი გახლდათ გამორჩეულად ყურადღებიანი მეუღლე, შესანიშნავი მამა, ბაბუა, ღირსეული პიროვნება და საიმედო მეგობარი.

ბატონო შოთა, უდიდესი მადლიერებით აღვნიშნავთ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობის ამ წარმატებულ და შედეგიან ათწლეულებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული და დაუმკვიდროს სასუფეველი ცათა შინა.

**ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, თემურ ღოღობერიძე, თემურ ბერიშვილი, კოტე სამუშია, ვახტანგ თოდუა, დემურ ინჯია**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ამერიკელმა მილიონები წვიმის წყალობით მოიგო




ამერიკელმა ჩარლზ მარტინმა ლატარიაში ჯეკპოტი ლატარიის ბილეთის სპონტანურად შეძენის შემდეგ მოიგო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის მაღაზიას მოულოდნელად წამოსული წვიმის გამო შეეფარა. ვირჯინიის შტატის მკვიდრი სამსახურის შემდეგ გაზონს თიბავდა, როდესაც მოულოდნელად კოკისპირული წვიმა წამოვიდა. მარტინმა ბალახის თიბვას თავი ანება და იქვე ახლოს მდებარე მაღაზიაში შევიდა პროდუქტების შესაძენად. იქ რამდენიმე სწრაფი ლატარიის ბილეთიც შეიძინა. მან ერთ-ერთ მათგანზე დამცავი ფენა გადაფხიკა და ნახა, რომ მოიგო მთავარი პრიზი – ათი მილიონი დოლარი.

– ლატარიაზე დამცავი ფენა გადავფხიკე და ამ დროს კინაღამ გული გამიჩერდა! – აღიარა მამაკაცმა. თავდაპირველად ვერც გამყიდველმა დაიჯერა და ბილეთი ორჯერ შეამოწმა სკანერზე.

ლატარიის წარმომადგენლებმა მარტინს არჩევანის საშუალება მისცეს: ან მთელი ათი მილიონი დოლარი ნაწილ-ნაწილ მიიღოს 30 წლის მანძილზე, ან მიიღოს 6,6 მილიონი დოლარი, შემდეგ კი მოგების გადასახადი გადაიხადოს. მან მეორე ვარიანტი ამჯობინა.

# ბრიტანელი ძლიერმა მუცლის კუნთებმა გადაარჩინა



ბრიტანელი მამაკაცი ნარჩენების მზიდი პიკაპის გადავლას გადაურჩა და ეს ნავარჯიშევი მუცლის კუნთების წყალობით მოხდა. ინციდენტი ნორფოლკის საგრაფოს ქალაქ ნორიჯში მოხდა. 21 წლის ჯეკ მურმა პარკში ბალახზე თავის მეგობარ გოგონა ვიკი კლარკთან ერთად წათვლიმა. ამ დროს მას ორტონიანმა ტოიოტას პიკაპმა გადაუარა. მურს იმ დროს გამოეღვიძა, როდესაც მანქანის ბორბლები მისგან ნახევარ მეტრში იმყოფებოდა და ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო.

– წინა ბორბლებმა მუცელზე გადამიარა, ეს საშინელი სანახავი იყო. ვფიქრობ, რომ ტკივილი მაშინვე ადრენალინის მოზღვავების გამო ვერ ვიგრძენი, – გაიხსენა ახალგაზრდა ბრიტანელმა. ამის შემდეგ პიკაპი მის მეგობარ გოგონას მიადგა და შემოტრიალდა, მაგრამ მურმა გვერდზე გახოხება მოასწრო და მეორედ ბორბლებ ქვეშ მოყოლა თავიდან აიცილა.

მას ფილტვების შეშუპების გამო ყვირილი არ შეეძლო. ავარიამ პარკის დამსვენებლების ყურადღება მიიპყრო და მათ სასწრაფო გამოიძახეს, მის მოსვლამდე კი ახალგაზრდას ამხნევებდნენ და ცდილობდნენ ტკივილიდან მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანათ.

მურს ფილტვი გაუსკდა და ღვიძლი სერიოზულად დაუზიანდა. კლარკს გატეხილი აქვს ლავიწის ძვალი, გაბზარული აქვს მკერდის ძვალი, ასევე მრავლობითი მოტეხილობები აღენიშნება ხერხემალზე.

ექიმების თქმით, ახალგაზრდას ძალიან გაუმართლა, რომ მას ასეთი ნავარჯიშევი მუცლის კუნთები ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კიდევ უფრო სერიოზულ დაზიანებებს მიიღებდა.

პიკაპის მძღოლი სამსახურიდან გაათავისუფლეს და 195 ფუნტი სტერლინგის ჯარიმის გადახდა აიძულეს. მურის ადვოკატი სამანტა უილიამსი ასეთ სასჯელს არაადეკვატურს უწოდებს და მის გადახედვას მოითხოვს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**19 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6156

ევრო — 3.0498

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4256

100 რუსული რუბლი — 3.8379

## ამინდის პროგნოზი 19 სექტემბრისთვის




# ხატია ბუნიათიშვილი ბიბისის ობიექტივში მოექცა



ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი ბიბისის ობიექტივში მოექცა. მისი კონცერტები მთელი წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სრული ანშლაგებით იმართება. ხატია საუკეთესო ორკესტრებთან და დირიჟორებთან ერთად მსოფლიოს საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში უკრავს.

ქართველი პიანისტის ნიჭიერება მსოფლიო მედიის ყურადღების ეპიცენტრშია. ბიბისი, სიენენი, საფრანგეთის თუ გერმანიის ცენტრალური ტელევიზიები, წამყვანი უცხოური გამოცემები ხატიას კონცერტების შესახებ ვრცელ სიუჟეტებსა და სტატიებს ამზადებენ და პიანისტს თავის გადაცემებში იწვევენ.

ბიბისიმ ხატია ბუნიათიშვილს სპეციალური ვიდეორგოლი მიუძღვნა, სადაც ქართველი პიანისტის ნიჭიერებასა და განსაკუთრებულობას გაუსვა ხაზი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# პაულო დიბალამ ტრავმა მიიღო

იუვენტუსის ერთ-ერთმა ლიდერმა პაულო დიბალამ სასუოლოსთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მან, შესაძლოა, ერთი კვირა დაისვენოს. დიბალას მცირე დაზიანება აქვს, მაგრამ, შესაძლოა, მან ვალენსიასთან შეხვედრა გამოტოვოს, რომელიც 19 სექტემბერს გაიმართება.

სამაგიეროდ, აუცილებლად ითამაშებს კრიშტიანო რონალდო, რომელიც ესპანეთში ბრუნდება და რომელსაც წარსულში მესტალიაზე არაერთი გოლი აქვს გატანილი ვალენსიის კარში.

# დანი ალვეში: „რონალდოს წასვლა რეალზე არ იმოქმედებს“

პსჟ-ს მცველმა დანი ალვეშმა კრიშტიანო რონალდოს იუვენტუსში ტრანსფერზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს ტრანსფერი რეალს არ დაასუსტებს და ამ გუნდში ბევრი სხვა ძლიერი ფეხბურთელია, რომლებიც რონალდოს წასვლის შემდეგ კიდევ უფრო შეთამაშდებიან ერთმანეთთან:

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეალი რონალდოზე დამოკიდებული იყო, ახლა კი სხვაგვარად იქნება და რეალი მეტად გუნდური გახდება. რა თქმა უნდა, რონალდო დიდი დანაკლისია, მაგრამ მის გარეშეც რეალის დამარცხება ძალიან რთული იქნება.

# გურამ კაშიას სან ხოსეში აკრიტიკებენ




სან ხოსე, რომელშიც გურამ კაშია და ვაკო ყაზაიშვილი თამაშობენ, ბოლო ადგილზეა და რამდენიმე დღის წინ სან ხოსეს ხელმძღვანელობამ მწვრთნელი გაათავისუფლა. ყაზაიშვილი საკმაოდ კარგ სეზონს ატარებს, რასაც ვერ ვიტყვით კაშიაზე, რომელსაც ბოლო პერიოდში ხშირად აკრიტიკებენ, რადგან სან ხოსე ბევრ გოლს უშვებს.

არ არის გამორიცხული, რომ გურამი ევროპაში დაბრუნდეს, თუმცა თვითონ ფეხბურთელს ამის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია. გურამ კაშია, ისევე, როგორც ყაზაიშვილი, სან ხოსემდე ჰოლანდიური ვიტესის ღირსებას იცავდა.

# ჯონ ტერი, შესაძლოა, მწვრთნელი გახდეს

ლონდონის ჩელსის ლეგენდა ჯონ ტერიმ არ იცის, საფეხბურთო კარიერა დაასრულოს თუ არა. ტერიმ, შესაძლოა, ასტონ ვილასთან ერთწლიან კონტრაქტს მოაწეროს ხელი ან მწვრთნელი გახდეს.

ტერის ლონდონის ჩელსი ეპატიჟება და ის, შესაძლოა, ჩელსის ახალგაზრდულ გუნდს ჩაუდგეს სათავეში. აგვისტოს ბოლოს ტერის თითქმის უკვე გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი მოსკოვის სპარტაკთან, მაგრამ მისმა ოჯახმა რუსეთში ცხოვრება არ მოინდომა და ამის გამო ეს ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა.

# ფრანკ რიბერი კარიერას 38 წლის ასაკში დაასრულებს

მიუნხენის ბაიერნის ფრანგი შემტევი ფრანკ რიბერი ჯერჯერობით კარიერის დასრულებას არ აპირებს და ის კიდევ 3 წელიწადს ითამაშებს.

რიბერიმ განაცხადა, რომ კარიერას 38 წლის ასაკში დაასრულებს.

ამჟამად ფრანგი ფეხბურთელი 35 წლის არის. რიბერი ბაიერნში 2007 წელს გადავიდა და მას შემდეგ გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო, მათ შორის, ჩემპიონთა ლიგაც 2013 წელს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# იუმორი

ცოლი დიდხანს ათვალიერებდა სარკეში საკუთარ თავს, შემდეგ დივანზე წამოწოლილ ქმარს მიუბრუნდა და მიაძახა:

— შენ მეტის ღირსი მაინც არ ხარ!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— გაიგე, ჩვენ პარლამენტში ეთიკის კომისიას აუქმებენ.

— რა გასაკვირია. რა საჭიროა კომისია იქ, სადაც ეთიკა არ არსებობს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ბიჭო, ევროპაში არალეგალად რომ მიდიხარ, არ გაშინებს იმაზე ფიქრი, რომ იქ თავს მეორეხარისხოვან ადამიანად იგრძნობ?

— მაშინებს, მაგრამ ძალიან მინდა, რომ თავი ადამიანად ვიგრძნო.

●●●

მოსამართლე განსასჯელს ეკითხება:

— ბრალდებულო, თავს დამნაშავედ ცნობთ?

— არა, ბატონო მოსამართლევ და ეს შემიძლია გინდ რინგზე და გინდ ტატამზე დაგიმტკიცოთ.

●●●

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— გუშინ ჩემ ქმარს ვეკითხები, თუ რატომ აღარ მეუბნება, რომ ვუყვარვარ...

— მერე რაო, რა გიპასუხა?

— მითხრა, რომ მას შემდეგ, რაც მისი მანქანა დავამტვრიე, თავად ის ფაქტი, რომ დღემდე ჯანმრთელად ვარ და მის სახლში ვცხოვრობ, უკვე იმაზე მეტყველებს, რომ უზომოდ ვუყვარვარ.

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

— შენი აზრით, ჩემი შეყვარება შეიძლება?

— მმ... მგონი შეიძლება...

— მერე, რაღას ელოდები???

●●●

პროგრამისტების კოლეჯში მასწავლებელი სტუდენტებს ეუბნება:

— ჩვენი კოლეჯი არა მხოლოდ გასწავლით, არამედ ადამიანებს სიცოცხლესაც უნარჩუნებს!

— ეგ როგორ, პატივცემულო?

— როგორ და ისეთი უტვინოები, როგორებიც თქვენ ხართ, სამედიცინოზე არ სწავლობენ.


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

— გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
— ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
— კანის დაავადებები
— უროლოგია
— გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






ანშენ ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


# კიმ კარდაშიანმა პერის ჰილტონს მიბაძა და შერცხვა



მსახიობმა და ჰილტონის სასტუმროების იმპერიის ექსმემკვიდრემ პერის ჰილტონმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელიც ძალიან ჰგავს კიმ კარდაშიანის სარეკლამო ფოტოსურათს.

შიშველი ჰილტონის ფოტო სოციალურ ქსელში რამდენიმე დღის წინ გამოჩნდა. ის ვარდის წითელი ფერის კოკრებით გარემოცული იატაკზე ზის და საცვლებიც ამ ყვავილებისგან დამზადებული აცვია.

— მიყვარს ფოტოსურათები, რომლებიც წარმოუდგენლად ნიჭიერმა @BrendanForbes-მა შექმნა, — დაწერა მან ადრინდელი ფოტოსთვის თანდართულ კომენტარში.

მისმა თაყვანისმცემლებმა კი ჩათვალეს, რომ ჰილტონმა გადაწყვიტა ამით კარდაშიანისთვის ეჩვენებინა, რომ სწორედ ის იყო ამგვარი ფოტოსესიის იდეის ავტორი.

— კიმი ყოველთვის ვიღაცას რაიმეს პარავს. უფრო ორიგინალური იყავით მისის უესტ, — დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტ მომხმარებელმა.

— ყვავილები კიმ კარდაშიანის ფოტოსურათზე აშკარად ხელოვნურებია, — აკრიტიკებდნენ სხვები.

ამ მომენტისთვის პერის ჰილტონის ფოტოსურათმა 415 ათასამდე მოწონება მიიღო, ხოლო კიმ კარდაშიანის ფოტოსურათს ოთხმილიონზე მეტი აქვს მიღებული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა. 2. იაპონური ხის ფეხსაცმელი; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. ჩინური ფინიკი; 5. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 8. უღელტეხილი კავკასიონზე; 9. უბანი ქუთაისში; 12. დიდი ებრაული რელიგიური დღესასწაული; 14. ნაბეჭდი ტექსტის აღრიცხვის ერთეული; 16. მწერის განვითარების ბოლო სტადია.

**თარაზულად**: 1. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 6. ძუნწი, წუწურაქი ადამიანი; 7. მიმნდობი, გულუბრყვილო ადამიანი; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. საქართველოში გავრცელებული ფრანგული ვაზის ჯიში; 11. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 13. ლუდის სასმელი ჭიქა; 15. ლექციის, მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 18. მომღერალთა გუნდი; 19. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 20. ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

